# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 10 ივლისი, 2009 წელი.

№ 139 (6240)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## დაუფიქრებლად ნუ დავეხარბდებით ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ამოსულ მზეს



5



გიორგი ონიანი: დროთა განმავლობაში აშშ და რუსეთი „გადატვირთვის“ პოლიტიკიდან კვლავ რეალისტურ ურთიერთობებს დაუბრუნდებიან

3

ალექსანდრე რონდელი:

## აშშ თავის ფასეულობებს და პრინციპებს არ ღალატობს

3



## რუსეთმა საქართველოში საკუთარი თვითმფრინავები ჩამოაგდო

8



REUTERS

## მთავრობის მზაკვრული გეგმა ეკლესიის წინააღმდეგ

ვისთან ერთიანდებიან და ვის ემიჯნებიან რესპუბლიკელები?

ოპოზიციონერი აქტივისტები კანონს დაარღვევენ?!

2

## „ანთიმოზობა“ — ახალი საერო-საეკლესიო დღესასწაული

7



## სტალინის მრჩევლის საიდუმლოება



ვინ დამალა ბელადის სეიფი მისი გარდაცვალების შემდეგ

9

№ 139. პარასკევი, 10 ივლისი, 2009 წელი.

## პარტიებსა და მოძრაობებში

# ვისთან ერთიანდებიან და ვის ემიჯნებიან რესპუბლიკელები?

**რესპუბლიკური პარტიის XIII ყრილობაზე დელეგატებმა თავმჯდომარედ კვლავ დავით უსუფაშვილი აირჩიეს. დაძაბული დღის შემდეგ პარტიის ოფისი თითქმის დაცარიელდა, თუმცა ორიოდე დღეში ალიანსთან ერთად საკმაოდ ქმედით და აქტიურ მუშაობას გეგმავენ.**

**შეიცვლება პარტიის სიმბოლიკა, კერძოდ, წითელ ფერს ნარინჯისფერი შეცვლის, რადგან საქართველოს რესპუბლიკური პარტია ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა, ხოლო ნარინჯისფერი ევროპელ ლიბერალთა ერთ-ერთი ძირითადი ფერია.**

**პარტიის ყრილობის 35-წევრიანმა ეროვნულმა კომიტეტმა 4 წლის ნაცვლად 2 წლის ვადით აირჩია თავმჯდომარე. თავმჯდომარეს კი, თავის მხრივ, ყრილობის დელეგატთა ნდობის მაღალი მანდატი აქვს, რადგან თავად კომიტეტი ყრილობაზე აირჩიეს. გვესაუბრება ეროვნული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გურამ ბერიშვილი:**

— მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კომიტეტის წევრთა რაოდენობა გაიზარდა და აქტიურად ჩაერთო რეგიონის თავმჯდომარის არჩევის პროცესში. ადრე კომიტეტი 13 წევრისგან შედგებოდა. ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ გავძლიერდით და პარტია თბილისიდან რეგიონებში გავიდა. ამ პარტიის წევრი 1991 წლიდან გავხდი. მე, ივლიანე ხაინდრავა, გია ჟორჟოლიანი, რომლებიც თავისუფალ-დემოკრატთა კავშირს წარმოვადგენდით, რესპუბლიკურ პარტიას შევუერთდით. ახლა უკვე ჩვენს ყრილობას 517 დელეგატი ესწრებოდა.

**— ყრილობაზე კვლავ დავით უსუფაშვილი აირჩიეთ, რა დამსახურების გამო?**

— როცა წინა არჩევნებზე ბატონი დავითი ავირჩიეთ, პარტია საკმაოდ სოლიდური, თუმცა მცირერიცხოვანი იყო. მან დიდი შრომა გასწია, რომ გაზრდილიყო პარტიის შემადგენლობა, რეგიონებში გაეხსნა ოფისები და სხვა. ამიტომ პარტია სოლიდური გახდა არა მხოლოდ იდეებითა და პრინციპებით, არამედ რიცხოვნობითაც.

დავით უსუფაშვილი ჩვენ კარგ ორგანიზატორად მიგვაჩნია.

**— ბატონო გურამ, დავით უსუფაშვილს ასეთივე რეიტინგი ჰქონდა პოლიტიკურ ასპექტშიც, თუმცა რესპუბლიკელებმა ალიანსში „საქართველოსთვის“ გაერთიანება და ირაკლი ალასანიას ლიდერობით ბრძოლა გადაწყვიტეთ, რატომ აირჩიეთ ეს გზა?**

— ჩემი აზრით ალიანსი იმისთვის არსებობს, რომ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ტერიტორიაზე დამყარდეს სახელმწიფოებრივი წესრიგი. საარჩევნო გარემო შეიცვალოს და მივიღოთ დემოკრატიული არჩევნები. ნორმალურ არჩევნებს ნორმალური წინაპირობა სჭირდება. მოქალაქეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანზე და განსაზღვრონ, რომ ამით საკუთარ მომავალს ირჩევენ.

ჩვენი ერთობლივი გაერთიანება გულისხმობს საარჩევნო კოდექსზე მუშაობას, მოსახლეობასთან ურთიერთობას და განმარტებებს, ელექტორატის მომზადებას და ა. შ.

**— ალიანსი კონკრეტულად რომელი არჩევნებისთვის იწყებს მზადებას?**

— ნებისმიერი არჩევნებისთვის, რომელიც საქართველოში ჩატარდება.

**— ამ საარჩევნო კოდექსითაც კი?**

— ამ საარჩევნო კოდექსით ნორმალური არჩევნები ვერ ჩატარდება. იმიტომ ვიბრძვით, რომ შევცვალოთ საარჩევნო გარემო.

**— აქციებში მონაწილეობას აპირებთ?**

— მხოლოდ ქუჩაში დგომით ეს ვერ გაკეთდება.

**— ე. ი. მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებით, მაგრამ რას ფიქრობთ მათზე, ვინც ქუჩაში დარჩენას აპირებს.**

— ჩემთვის მიტინგსა და აქციას ასეთი ფორმა უნდა ჰქონდეს: დაინიშნოს 7 საათზე და დამთავრდეს 8-ზე. აბსოლუტურად არაფერში არ არის საჭირო საკნებით ქუჩის გადაკეტვა და არც აქამდე იყო საჭირო. ეს არის დამღლელი, შემაწუხებელი და ამ დროს შედეგის მომტანი არ არის.

მედია, ტელეარხები ნორმალურ ვითარებაში არ მუშაობენ. არ ხდება ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის. ამიტომ ამ ფუნქციას ითავსებს მიტინგი, სადაც იკრიბებიან ლიდერები და საზოგადოებას ინფორმაციებს აწვდიან, სწორედ ამ მიზნით არის გამართლებული მიტინგების გაგრძელება.

**— რესპუბლიკელები თუ ხართ მობილიზებული იმისთვის, რომ თქვენი მხარდამჭერები ზაფხულის განმავლობაში მიტინგებზე იდგნენ?**

— დიახ, რესპუბლიკელები ერთ-ერთ ყველაზე მობილიზებული ძალაა.

**— ამბობენ, რომ ალიანსი „საქართველოსთვის“ რიგებში შეიძლება ეროვნული ფორუმიც ვიხილოთ. თქვენს შორის ამის შესახებ მოლაპარაკებები გაიმართა?**

— რახან თქვენ ამას მეკითხებით, ეს ნიშნავს, რომ რაღაც წინაპრობა არის, თუმცა კონკრეტული პასუხი არა მაქვს. ფორუმს უნდა ჰკითხოთ.

**— სხვა ვინ შეიძლება კიდევ ვიხილოთ თქვენს ალიანსში?**

— ვისაც მოესურვება: მაგრამ არ იქნებიან ბურჯანაძის, ნოღაიდელისა და ოქრუაშვილის პარტიები. იმედია, არც თვითონ მოისურვებენ. ისე ბევრი პარტიის შემადგენლობით ალიანსის შექმნის მომხრე პირადად მე არა ვარ. პარტიებს შორის მუდმივად უნდა იყოს ურთიერთობა, მოლაპარაკებები, შეთანხმებები, მაგრამ ამისთვის ბლოკების შექმნა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის.

ესაუბრა
**თეა მოსია**

**P. S. ბლოკებისა და ალიანსებისა რა გითხრათ, თუმცა ცნობილია, რომ რესპუბლიკელები არასაპარლამენტო ოპოზიციის საგანგებო განცხადებას უერთდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით: „ეს გვაძლევს უნიკალურ შანსს, ამ კრიტიკულ მომენტში სახალხო აქციით ჩვენი პოზიცია ვაცნობოთ გარე სამყაროს. ჩვენი პროტესტი უპირისპირდება იმ რეჟიმს, რომელმაც დაპირების მიუხედავად, უარი თქვა თავისუფალ მედიაზე, დამოუკიდებელ სასამართლოზე, სამართლიან არჩევნებზე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზე, ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებზე. ჩვენ ვგმობთ ხელისუფლების უგუნურ ქმედებას, რომელმაც, ამერიკის დაჟინებული რჩევის მიუხედავად, საქართველო რუსეთის პროვოკაციაზე წამოაგო და დამღუპველ ომში ჩააბა, ამასთან, დაკარგა ტერიტორიები...**

**მოგიწოდებთ კიდევ ერთხელ, ვაჩვენოთ ამერიკელ მეგობრებს და მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ და დემოკრატიისკენ უცვლელია“.**

**თ. მ.**

## SIC!

# მთავრობის მზაკვრული გეგმა ეკლესიის წინააღმდეგ

**ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმებაში ცვლილების პერსპექტივას ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ქვეყნისთვის დამღუპველად აფასებს.**

როგორც გია ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ახალი კანონპროექტით, რომელიც უმრავლესობის წევრების მიერ არის მომზადებული, ნიველირდება საქართველოს საპატრიარქოს მდგომარეობა.

ყველა მუხლი, სადაც გამყარებული იყო პრიორიტეტი საქართველოს ავტოკეფალური, სამოციქულო ეკლესიისა, ფაქტობრივად, გაუქმებულია, – განაცხადა ცაგარეიშვილმა და გეგმას „მზაკვრული“ უწოდა.

მისივე თქმით, ხდება იმ უპირატესობების გაუქმება და შელახვა, რომელიც ავტოკეფალურ ეკლესიას კანონმდებლობით ჰქონდა მინიჭებული.

კერძოდ, მოქმედ კანონში არსებობს განმარტება, რომ კონსტიტუციური შეთანხმება იდება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და მართლმადიდებლური ეკლესიის უპირატესობა მხოლოდ ამ ჩანაწერით არის აღიარებული. კანონპროექტში კი ეს ჩანაწერი-განმარტება ამოღებულია და მხოლოდ მითითებულია, რომ არსებობს ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახე და არსებობს საკონსტიტუციო შეთანხმება.

ასევე, ამავე ცვლილებების პროექტით, კანონთა იერარქიიდან ამოღებულია საკონსტიტუციო შეთანხმება, რომელსაც დღეს მოქმედ კანონში მესამე ადგილი უკავია და მასზე უპირატესია მხოლოდ კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი.



ოპოზიციონერი დეპუტატის მტკიცებით, ამ ცვლილებების თანახმად შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების დადება ყველა რელიგიასთან და კონფესიასთან.

ცაგარეიშვილი ყველა დეპუტატს და პატრიოტს მოუწოდებს, წინ აღუდგეს ამ ცვლილებას, რომელიც, მისივე თქმით, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის დამღუპველი იქნება.

კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებმა უკვე დაიწყეს.

**ინტერპრესნიუსი**

## „დაიცავი საქართველო“!

# ოპოზიციის უპარტიო წევრები ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნიან

**ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში დიდი ცვლილებები იწყება. ყოველ შემთხვევაში მათი ბოლოდროინდელი სატელევიზიო თუ სააქციო გამოსვლები ამაზე მეტყველებს. კაცმა რომ თქვას, გადახალისება მართლაც სჭირდებათ და არა მხოლოდ საკნების დონეზე. მართალია, პოლიტიკური პროცესები შედარებით შენელდა და ცვლილებები ნამდვილად საჭიროა, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ბევრი კითხვა წარმოშვას (განსაკუთრებით ახალმა გაერთიანებებმაძ და ხელისუფლებასა და მის მომხრეებს „ახალი სკანდალების“ აგორების საშუალება მისცეს.**

ასეა თუ ისე, ახალი ეტაპი დაიწყო. რესპუბლიკურმა პარტიამ XIII ყრილობა გამართა, სადაც განაცხადა, რომ დღევანდელთან შედარებით უფრო ძლიერი ერთობის ჩამოყალიბებას აპირებენ, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ქართულ პოლიტიკაში. მათი საპრეზიდენტო კანდიდატი და საარჩევნო სიაში პირველი ნომერი ირაკლი ალასანია იქნება.

ამის პარალელურად, დიდი ოპოზიციური გაერთიანების არაპარტიული წევრები ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნიან სახელწოდებით „დაიცავი საქართველო!“ ამ მოძრაობაში სავარაუდოდ გაერთიანდებიან გოგა ხაინდრავა, ლევან გაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძე („უცნობი“ძ, დავით მაღრაძე და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სხვა სახეები.

როგორც დავით მაღრაძემ განგვიცხადა, ამ მოძრაობის შექმნა იმისთვის არის საჭირო, რომ ხალხის კოორდინირება და მობილიზაცია მოხდეს, ოღონდ ეს ყველაფერი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკური ფიგურები დანარჩენ ოპოზიციას ემიჯნებიან. დავით მაღრაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ითანამშრომლებენ ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომელთაც აუცილებლად მიაჩნიათ ქვეყანაში ვითარების შეცვლა და ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში თავისი წვლილის შეტანა სურთ.

**ანა წიწილაშვილი**

## ინფორმაცია

# დემოკრატიისგან უკან გადადგმული ნაბიჯი

**ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონმდებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს, მიუღებელია.**

ამის შესახებ ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები ნამდვილად არ არის ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან. პირიქით, ვფიქრობთ, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ასეთი მკაცრი კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოში ჯერ არასდროს ყოფილა. სრულიად ნათელია, რომ ეს კანონი სპეციალურად არის შექმნილი აპრილ-მაისის აქციებისთვის, – აღნიშნა ლალიაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატების მოსაზრებით, აუცილებელია, დაკონკრეტდეს ე.წ არალეტალური იარაღის გამოყენების წესი, გამოყენების მანძილი; კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს კონკრეტული ინსტრუქტაჟი, რათა თავიდან იყოს აცილებული ლეტალური შედეგები.

გარდა ამისა, ლალიაშვილის თქმით, მიუღებელია ის ცვლილებებიც, რომლებიც ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს.

**ინტერპრესნიუსი**

## მოძრაობა „7 ნოემბერი“

# ოპოზიციონერი აქტივისტები კანონს დაარღვევენ?!

**მოძრაობა „7 ნოემბერი“ აცხადებს, რომ „დღეიდან ყველანი კანონს შეგნებულად დაარღვევენ“. ამის შესახებ ჟურნალისტებს მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯაბა ჯიშკარიანმა განუცხადა.**

„ბოლო თვეების განმავლობაში პარლამენტი იხილავს კანონს ადმინისტრაციული სასჯელისა და საჯარიმო თანხის გაზრდის შესახებ. ამით ხელისუფლება ცდილობს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს მოსახლეობაზე, რადგან იცის, რომ მოქალაქენი 5000 ლარის გადახდას ვერ შეძლებენ. ამიტომ დღეიდან ჩვენ დავიწყებთ აქციებს, დავარღვევთ ყველა მიღებულ კანონს, გადავკეტავთ გზებს და სადაც საჭიროა, სალებავებით წარწერებს დავტოვებთ. ნამდვილად არ ვაპირებთ ვუყუროთ, როგორ „დაგლეჯენ“ აქციაზე გამოსულ ქალებსა და ბავშვებს პოლიციელთა ძაღლები. პირადად მე თუ ძაღლს მომიქსევენ, პირობას ვაძლევ, ვესვრი“, – განაცხადა ჯიშკარიანმა.

მისივე თქმით: „აქციები გაიმართება ყველგან: პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, ყველა აკრძალულ ადგილზე. ვიცით, რომ ეს კანონდარღვევაა და დაგვიჭერენ, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ყველაფრისთვის. თითოეული ჩვენგანი, ვინც ამ აქციაში მიიღებს მონაწილეობას, საკუთარ თავზე იქნება პასუხისმგებელი“, – განმარტა ჯიშკარიანმა.

ხოლო ის, თუ რა რესურსით აპირებს კახა ჯიშკარიანი აქციების გამართვას, ოპოზიციონერმა აქტივისტმა აღნიშნა, რომ ძირითადი მასა „მოძრაობა 7 ნოემბერი“ იქნება, მაგრამ მას სტუდენტების მხარდაჭერის იმედიც აქვს. ჯიშკარიანის განცხადებით ეს აქციები გაგრძელდება მანამდე, სანამდე საჭირო იქნება.

**ხატია მუსერიძე**

განსჯა



***საագენტო „პირველის“ ინტერვიუ ლონდონში მოღვაწე ქართველ პოლიტოლოგთან გიორგი ონიანთან.***

# „დროთა განმავლობაში აშშ და რუსეთი „გადატვირთვის“ პოლიტიკიდან კვლავ რეალისტურ ურთიერთობებს დაუბრუნდებიან“

**— ბატონო გიორგი, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ახალი სამხედრო აგრესიის საშიშროებაზე ქართველი ექსპერტების გარდა, რუსი და დასავლელი ექსპერტებიც აქტიურად საუბრობენ. შესაძლოა, რუსეთისთვის კვლავ აქტუალური გახდეს პანკისის ხეობა, ასევე მამისონის უღელტეხილი, რომლის გავლითაც ის ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დამაკავშირებელი სამხედრო გზის მშენებლობას გეგმავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსეთმა საქართველოს საზღვრებთან ახლოს დაახლოებით ისეთივე სამხედრო წვრთნები აწარმოა, როგორც შარშან, რუსეთ-საქართველოს ომამდე. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ახალი სამხედრო აგრესია?**

— დღევანდელი რუსეთის მოქმედებათა პროგნოზირება საკმაოდ რთულია. აქ, ისევე როგორც ნებისმიერ ავტორიტარულთან დაახლოებული რეჟიმის პირობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განსხვავდება დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული, ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ინსტიტუციური სისტემისაგან, სადაც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი გაცილებით ტრანსპარენტულია და პოლიტიკოსები მოსახლეობისადმი თავს ანგარიშვალდებულად გრძნობენ. რუსეთში მრავალი გადაწყვეტილების მიღმა შესაძლოა, გარკვეული სუბიექტური, ვიწრო ინტერესები იყოს აღმოჩენილი — იქნება ეს მმართველი ჯგუფის პირადი, ან კორუფციული ინტერესები, ხელისუფლებაში არსებულ გავლენიან ჯგუფებს შორის ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ. ამ ყველაფერს რუსეთის მსგავსი ქვეყნების პოლიტიკის ანალიზისას გარკვეული არაპროგნოზირებადობის ელემენტი შემოაქვს, რასაც ვერც ჩვენ გავექცევით.

ერთი მხრივ, არსებობს ნიშნები, რომელთა ინტერპრეტირება რუსეთის მიერ საქართველოში ინტერვენციის წინაპირობად შეიძლება. ასეთია თუნდაც სამხედრო წვრთნა, რომელიც თქვენახსენეთ. მას თან სდევს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში დაძაბულობის საგრძნობი ზრდა და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონის საკმაოდ დიდ პერიმეტრზე ე.წ. კონტრტერორისტული რეჟიმის ამოქმედება. ჩემი აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყაბარდო-ბალყარეთი, სადაც მსგავსი რეჟიმი ყოველგვარი უშუალო წინაპირობის გარეშე დაწესდა. ამ შემთხვევაში, ოფიციალური დასაბუთება მხოლოდ ბოლო წლებში არსებული დაძაბული ვითარება იყო. თუმცა ამ ყველაფერს შესაძლოა, სხვაგვარი ახსნაც ჰქონდეს. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთი ამჟამად საკმაოდ ძლიერია. პუტინის ხელისუფლებამ შეძლო ის, რაც რუსეთის იმპერიამ საუკუნეთა განმავლობაში ვერ მოახერხა. მოსკოვს რეგიონში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰყავს, რომელიც არა გარეშე ძალა (თუნდაც კავკასიური, როგორიც ერთ დროს საქართველო იყო), არამედ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ადგილობრივი ელიტაა — კადიროვის კლანის სახით. შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლებას ამ სიტუაციის გამოყენება სურს, რათა ამ ტრადიციულად ანტირუსული რეგიონის საბოლოოდ დამორჩილება სცადოს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება უდავოდ იქონიებს გარკვეულ ზეგავლენას ჩრდილო-კავკასიურ ეთნოსებში სეპარატიზმის იდეის პოპულარიზაციაზე. ამას კი რუსეთის ხელისუფლება, სავარაუდოდ, ჯეროვნად აფასებს.

სამხედრო დაპირისპირების განმეორების შესაძლებლობაზე მსჯელობისას, ასევე საჭიროა გარკვეული ანალიზი იმისა, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა რუსეთის შარშანდელი აგრესია და რა შეიძლება, მოუტანოს მას საქართველოსთან ახალმა ომმა. ჩემი აზრით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები უფრო რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს ურთიერთობათა ჭრილში უნდა განვიხილოთ, ვიდრე საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების საგანი. მართალია, რუსეთმა სწორედ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა და სუვერენული სახელმწიფოს დიდი ტერიტორიის ანექსირება მოახდინა, მაგრამ ეს იყო დანარჩენი მსოფლიოსათვის ძალის საკმაოდ ეფექტიანი დემონსტრირება, რითიც რუსეთმა მსოფლიო დონის აქტიორთა კლუბში დაბრუნების განაცხადი გააკეთა. ყოველივე ეს რუსეთის მიერ სხვა მიმართულების ნაბიჯთა კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ. მათ შორისაა რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა და ლიბერალური მსოფლიოს მიერ „გარიყულად“ მიჩნეული ავტორიტარული რეჟიმების აშკარა მხარდაჭერა. ავიღოთ თუნდაც ირანის ბოლო მაგალითი, როდესაც მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მიერ ირანის ხელისუფალთა მოქმედების კრიტიკის ფონზე რუსეთმა მას მხარი დაუჭირა და არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა აღიარა.

გარდა ამისა, აგვისტოს ომით რუსეთმა შეძლო, მისთვის ერთ-ერთი მთავარი გამღიზიანებელი ფაქტორი მოეხსნა. ვგულისხმობ თავის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს მიახლოების საკმაოდ შორეულ პერსპექტივად გადაქცევას. ამიტომ ვფიქრობ, რუსეთმა თავის მთავარ მიზნებს მიაღწია. რაც შეეხება საქართველოში მმართველი რეჟიმის პრორუსული ძალებით შეცვლას, აშკარაა, რომ ეს ამ ეტაპზეც რეალურად მიუღწეველია. სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება, რომ ეს რუსეთის ინტერვენციის მთავარი მიზანი ყოფილიყოს ან შარშან აგვისტოში, ან მომავალი აგრესიის შემთხვევაში. ჩემი აზრით, სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა, გარდა პუტინის რეჟიმის მიერ პირადი ანგარიშსწორებისა, შესაძლოა, რუსეთისთვის ერაყში აშშ-ის მოქმედების მსგავსი სიმბოლიზმის მატარებელი ყოფილიყოს (როდესაც აშშ-ის ჯარების შეჭრის შედეგად რუსეთისადმი კეთილგანწყობილი ჰუსეინის რეჟიმი დაემხო). დამეთანხმებით, რომ ვერც ერთი მიზეზი ომის დაწყების სერიოზულ საბაბად ვერ გამოდგება.

ამგვარად, რუსეთმა შეძლო, თავისი მთავარი სტრატეგიული მიზნებისთვის მიეღწია. მან ასევე საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, მათ შორის შიდაპოლიტიკურზე გრძელვადიანი ზეგავლენის ბერკეტების მოპოვებას ჩაუყარა საფუძველი. მსგავს პირობებში სამხედრო დაპირისპირების განახლების რაციონალური წინაპირობა, ჩემი აზრით, არ არსებობს. ვფიქრობ, ერთადერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ რჩება რუსეთის სტრატეგიულ, სასიცოცხლო ინტერესად და რომლის გამოც საქართველოში ხელისუფლების შეცვლა შესაძლოა, მის ინტერესს წარმოადგენდეს, ევროპისათვის ენერგოშემცველების მიწოდების ალტერნატიული გზის შექმნაა. მისი მარშრუტი, როგორც ამ ეტაპზეა ცნობილი, საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. თუმცა არც ეს მოტივი გამოდგება ომის გაჩაღების საბაბად, რადგან, პირველ ყოვლისა, თავად „ნაბუკოს“ პროექტი ჯერ კიდევ საკმაოდ „თეორიულად“ რჩება და მის განხორციელებას ბევრი რამ უშლის ხელს. ამასთან, რუსეთი შიდაევროპულ დაპირისპირებებზე თამაშით ამ ინიციატივის დაბლოკვას საკმაოდ ეფექტიანად ახერხებს. ამიტომ ჩემთვის უცნობია, რა ანალიზს ეყრდნობა რუსი ექსპერტების დასკვნა, როდესაც ისინი საქართველოსთან ომის განახლებას წინასწარმეტყველებენ, თუკი, რა თქმა უნდა, მათ არ მიუწვდებათ ხელი რაიმე კონკრეტულ ინფორმაციაზე, რომლის მიღმა კრემლის ნაკლებად პროგნოზირებადი მოტივები და მიზნები დგას.

იხ. 4 გვ.

შეფასება



***აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტის პირველ შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგს, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევათა ფონდის ხელმძღვანელს ალექსანდრე რონდელს ესაუბრა.***

# ალექსანდრე რონდელი: აშშ თავის ფასეულობებს და პრინციპებს არ ღალატობს

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შედეგებს და საქართველოსთვის სავარაუდო პერსპექტივას?**

— როცა ასეთი დონის შეხვედრა მზადდება, პოლიტიკოსები და ექსპერტები გამოთქვამენ აზრს და, როგორც წესი, მოსალოდნელ შეხვედრას გადამეტებულად აფასებენ ან პირიქით. ჩვეულებრივ, ამგვარი შეხვედრები მცირე შედეგებით და დიდი პიარით მთავრდება. ისე უნდა გამოჩნდეს, რომ ერთ-ერთმა მხარემ თუ არაფერი მოიგო, არაფერი წააგო ან მთავრდება მართლაც მიღწევებით, ანაც ერთი მხარე რაღაცას მიაღწევს და შემდეგ ამას აპიარებს.

ობამა-მედვედევის შეხვედრის შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებულს არავინ არ ელოდა. რა თქმა უნდა, ორივე მხარეს რაღაც კონკრეტულის მიღწევა სჭირდებოდა და ეს „რაღაცა“ ბირთვული იარაღია. აქ მოხდა დადებითი ძვრები, მით უმეტეს, რომ არც ამერიკელებს სჭირდებათ ამდენი ბირთვული იარაღი და რუსებს კი თავისი არსენალის შენახვა ძალიან ძვირი უჯდებათ. ასე რომ, ამ საკითხში შეთანხმება ორივე მხარეს აძლევდა ხელს და ეს დიდი ზარ-ზეიმითაც გაკეთდა. რაც შეეხება შეიარაღების შესახებ შეთანხმებათა სხვა ასპექტებს, აქ მხარეები ასე იოლად ვერ შეთანხმდნენ და ევროპაში რაკეტების განლაგების საკითხებზე ბევრი რამე გადაიდო, მუშაობა კომისიების დონეზე გაგრძელდება. კომისიების შექმნა ყოველთვის იმის მაჩვენებელია, რომ საქმე მთლად კარგად ვერ არის და საკითხის გადაწყვეტა გადავადდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებმა ტაქტიკურ მიზნებს მიაღწიეს: ბირთვული იარაღის შემცირების გარდა, ავღანეთთან დამაკავშირებელი საჰაერო ხიდი მიიღეს, რაც ობამასთვის მნიშვნელოვანი იყო. ჩემი აზრით, რუსებმა ძალიან მნიშვნელოვან რამეს მიაღწიეს, რაზეც მაინცდამაინც ბევრი არ წერს. რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერად აღიარეს. მოსკოვში ზესახელმწიფოს პრეზიდენტი ჩავიდა, რამაც იმის შთაბეჭდილება შექმნა, რომ მსოფლიოში რუსების გარეშე არაფერი ხდება.

ამ შეხვედრით ყველამ სარგებელი ნახა. როდესაც დიდი ქვეყნები რაღაცას იყოფენ და ვაჭრობენ, ეს რომელიღაც პატარა ქვეყნების ხარჯზე ხდება, მაგრამ ახლა ვერ ვიტყოდი, რომ ამ შემთხვევაში ვინმეს „გაყიდვა“ მოხდა. ამერიკა ომს არ დაიწყებს იმის გამო, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთმა ჩაყლაპა, მაგრამ აშშ-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს მისთვის მიუღებელია. ობამა კრიტიკული იყო რუსეთში დემოკრატიის დონის მიმართ. ზოგიერთ პროცესზეც მიანიშნა, მაგალითად, რუსეთის სურვილზე, ახლო სამეზობლოში შექმნას თავისი გავლენის სპეციალური სფეროები. ამაზე ობამამ თქვა, რომ ეს აშშ-სთვის მიუღებელია. ასევე, მიანიშნა, რომ რუსეთის მეზობელ ქვეყნებს თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს.

შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკების შედეგებით ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს, ამერიკული, ალბათ — ცოტა მეტად. მაგრამ, ამ შეხვედრაზე რამე განსაკუთრებული, გარღვევის მსგავსი არ მომხდარა.

**— რუსეთისთვის მთავარი პოსტსაბჭოთა სივრცისადმი ვაშინგტონის დამოკიდებულება იყო, უფრო სწორად, მიიღებდა თუ არა ის ვაშინგტონისგან ამ სივრცეზე სრული კონტროლის უფლებას...**

— ეს საკითხი დარჩა ისე, როგორც იყო. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, კერძო საუბრებში რა ითქვა. დიპლომატიაში ასეა: როდესაც ერთი ლიდერი ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ გაგებას მივაღწიეთ რაღაც საკითხებშიო, ხოლო მეორე ამ თემაზე არაფერს ამბობს, არ არის გამორიცხული, რომ მათ რაღაცაზე მოილაპარაკეს. ობამამ მოსკოვში აქცენტები ისე დასვა, ნათლად გამოჩნდა, რომ აშშ თავის ფასეულობებს და პრინციპებს არ ღალატობს.

**— ამერიკული „ფოქს-ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ობამამ განაცხადა, რომ საქართველოს საკითხისადმი რუსეთის დამოკიდებულებაში ცვლილებას კარგა ხანს არ ელოდება. თქვენი ვარაუდით, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს საქართველოსთან დაკავშირებით არსებული სტატუს-კვო?**

— რუსეთი მთელი სერიოზულობით აცხადებს, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არ გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას, ძალიან დიდი ქვეყანა ვართ და არ გვეკადრება, რომ გადაწყვეტილება შევცვალოთო. მაგრამ საქმე ის არის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები არ აღიარებენ. მათ ურთიერთობაში ხინჯად დარჩება საქართველოს თემა და ეს ცოდვა ყოველთვის რუსეთის კისერზე იქნება.

ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა დასჭირდება, კრემლს ყოველთვის მიუთითებს, საქართველოში თქვენ რა გაქვთ გაკეთებულიო და რუსეთთან ურთიერთობაში ყოველთვის ზედმეტი ქულა ექნება. მე არა მგონია, რომ ამერიკელებმა უარი თქვან იმაზე, რაც განაცხადეს. აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ისტორიის ჩარხი როგორ დატრიალდება. სამუდამო და სამარადისო არაფერი არ არის.

**—ითქვა, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი ყარაბაღის საკითხში შეთანხმდნენ და, შესაძლოა, აზერბაიჯანმა ის ტერიტორიები დაიბრუნოს, რომელიც სომხეთს ყარაბაღს გარდა აქვს მიტაცებული. ამის ფონზე რუსმა ექსპერტებმა დაიწყეს საუბარი საქართველოსთვის ახალგორის, პერევისა და კოდორის ხეობის დაბრუნების შესაძლებლობაზე. რამდენად სავარაუდოა მოვლენათა ამგვარი განვითარება?**

— ახლა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსებს იმ ფარგლებში აქვთ მიტაცებული, რომელშიც ეს რეგიონები საბჭოთა პერიოდის საზღვრებში იყვნენ. მოსკოვი მიიჩნევს, რომ ეს არის მისაღები, რაზეც დასავლეთი ამბობს, რომ ამგვარი ვითარება მიუღებელია. პოლიტიკაში ასეა, ვისაც მეტი ძალა აქვს, მიზანს ის აღწევს. ამ რეგიონებში რუსეთი სამხედრო ძალებით არის წარმოდგენილი. რეგიონში იმდენი ძალა არავის არა აქვს, რომ რუსეთის ძალით გაგდება შეძლოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საზღვრებს დასავლეთი არასოდეს აღიარებს.

**— ობამამ რუსულ პოლიტელიტას, აშშ-რუსეთის ურთიერთობებში ახალი ხედვის გარდა, მსოფლიო პროცესებში აღიარებული წესებით მონაწილეობა შესთავაზა. თქვენი აზრით, რუსული პოლიტელიტა ადეკვატურად უპასუხებს ობამას წინადადებებს?**

— ობამამ მოსკოვში განაცხადა, რუსეთი აშშ-ს ეჯიბრება გავლენის სფეროების შექმნაში, რაც მიუღებელიაო. მისი თქმით, 21-ე საუკუნეში დიდი სახელმწიფო პატარა მეზობლებს ძალას არ უნდა უჩვენებდეს და არ უნდა აშინებდეს. დრო, როდესაც იმპერიები ქვეყნებს ისე ექცევიან, როგორც ჭადრაკის დაფაზე პაიკებს, წავიდაო.

დღევანდელ რუსეთში არ არსებობს საფუძველი, რომ რუსული პოლიტელიტა ამ წინადადებებს ღირსეულად შეაფასებს და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს. როგორც ეტყობა, ამის იმედი კარგა ხანს არ უნდა გვქონდეს.

**კობა ბენდელიანი**

ომის ექო

***ამას წინათ ნიუ-იორკის ლინკოლნ-ცენტრში ჰოლანდიაში მცხოვრები რუსი რეჟისორის მაშა ნოვიკოვას ფილმის „რევოლუციის წმინდა ცეცხლი“ ჩვენება გაიმართა. ამ ანტიპუტინური ლენტის გადაღება 2006 წელს დაიწყო და ორ წელიწადში დასრულდა. ნიუ-იორკში ფილმი მისმავე მთავარმა გმირმა გარი კასპაროვმა წარადგინა. როგორც რეჟისორმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს სურათი შარშან ქართველ მაყურებელსაც უჩვენა, მაგრამ არა ფართო ეკრანზე, არამედ — ვიწრო წრეში. არადა გადაწყვეტილი იყო მის დიდ დარბაზში წარდგენაც, მაგრამ ეს არ თუ ვერ მოხერხდა. მაშა ნოვიკოვამ ფილმი თბილისის კინოფესტივალზეც გააგზავნა, მაგრამ რატომღაც ქართველი კოლეგებისგან პასუხი არ მიუღია. რეჟისორი ამბობს, რომ იგი გაგებით მოეკიდა ფესტივალის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებას და თვლის, რომ თბილისში პუტინ-მედვედევის ოპოზიციაზე ფილმის ჩვენებას მოერიდნენ, რათა კრემლი ზედმეტად არ გაეღიზიანებინათ.***

# მაშა ნოვიკოვა:
# აგვისტოს ომი ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო...



რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაშა ნოვიკოვა ჰოლანდიელს გაჰყვა ცოლად, 1988 წელს საცხოვრებლად მეუღლის სამშობლოში გადავიდა, მერე კი ფილმების გადაღება გადაწყვიტა და სტეფან მაიაკოვსკის სტუდიაში კინოპროფესიას დაეუფლა. მისი ფილმები ძირითადად ომებზე და ძირითადად — პოლიტიკურ პროცესებზეა, არადა დიდი ხანია საოცნებო ფილმისთვის სცენარიც აქვს დაწერილი — ბავშვობის მეგობრების ხალისიან ცხოვრებაზე. უყვარს არა პროპაგანდისტული ფილმები, არამედ ისეთები, რომელიც ეჭვს ბადებს, რადგან თვლის, რომ „ეჭვის მარცვლები კარგ ნაყოფს მოიმკის“.

მანამდე კი მაშა ნოვიკოვა აფხაზეთში ჩადის ხოლმე, იქ მეგობრებიც ჰყავს და ისეთი ფილმის გადაღებაზეც ოცნებობს, ქართველებსა და აფხაზებს რომ შეარიგებს.

— როცა „რევოლუციის წმინდა ცეცხლის“ გადაღებას ვიწყებდით, რუსეთში კიდევ იყო იმის იმედი, რომ 2008 წლის არჩევნები სამართლიანი იქნებოდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ოპოზიციაც მიიღებდა — ამბობს იგი. — მაგრამ ნელ-ნელა ეს იმედი გაქრა. ხოლო 2007 წლის დეკემბერში, დუმის არჩევნების დროს უკვე ცხადი იყო, რომ არანაირი არჩევნები არ იქნება, რომ პრეზიდენტი კვლავ პუტინი ან მის მიერ დასმული ადამიანი გახდება.

**— რუსეთში ოპოზიციური ფილმის გადაღების დროს რა პრობლემებს წააწყდით?**

— რასაკვირველია, იყო ძალიან ბევრი პრობლემა. ოპერატორი, ვისთანაც ერთად „რევოლუციის წმინდა ცეცხლზე“ დასაწყისში ვმუშაობდით, ВГИК-ის სტუდენტი იყო, თანაც ქართველი. როცა იგი გარი კასპაროვთან ერთად დააპატიმრეს, დაემუქრნენ, რომ თუ ფილმზე მუშაობას არ შეწყვეტდა, საქართველოში გააძევებდნენ, ამიტომ ფილმის გადაღება რუსმა ოპერატორებმა გააგრძელეს. დემონსტრაციებს კი ან მე ან ჩემი ჰოლანდიელი კოლეგა ვიღებდით, რადგან ასე უფრო უსაფრთხო იყო. ჩვენ არც რუსი კოლეგების რისკის ქვეშ დაყენება გვინდოდა, მაგრამ ფილმი ეკრანებზე მაინც გამოვიდა. იგი ათზე მეტ ფესტივალზე აჩვენეს. პოლონეთში კასპაროვი ამ ფილმით ჩავიდა და ლეხ ვალენსას შეხვდა. პრემიერა შედგა ამსტერდამშიც, ჩამოსული იყო გარი კასპაროვი, ინტერვიუებს იძლეოდა. იმ საინფორმაციო ვაკუუმის გამო, რომელიც რუსეთის გარშემო არსებობს, ევროპელ მაყურებელს აინტერესებს ეკრანიდან და „ცოცხალი“ ოპოზიციონერიდან გაიგონოს, თუ რას ითხოვს რუსეთის ოპოზიცია, რა პირობებში ცდილობს გადარჩენას.

**— უცხოელობა ხელშეუხებლობას არ ნიშნავს. აგვისტოს ომის დროს ჰოლანდიელი ჟურნალისტი დაიღუპა...**

— აგვისტოს ომი ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. უპირველესად, მოკლეს ჩემი კოლეგა, ჰოლანდიელი ოპერატორი სტან სტორიმანსი. დეკემბერში მე ვიყავი მისი დაღუპვის ადგილას გორში, ყვავილები დავდე. რაც მთავარია, მე მყავს მეგობრები საქართველოშიც და აფხაზეთშიც. ეს ძალიან მტკივნეულია, რადგანაც შენ არ შეგიძლია ვინმეს მხარეს დადგე, როცა ორივე მხარის „სიმართლე“ იცი! იმდაგვარადვე მტკივნეულია, როგორც ჩეჩნეთი. იქაც ხომ არაფრის გამო რუსი ბიჭები იღუპებოდნენ, ჩემი ბავშვობის მეგობრებისა და თანაკლასელების ბიჭები. იქაც ხომ 18 წლის რუსი ბიჭები ტიროდნენ, მაჩვენებდნენ თავისი დედებისა და შეყვარებული გოგონების სურათებს. მე ჩეჩნებსაც ვიღებდი, რომლებიც იღუპებოდნენ და იტანჯებოდნენ სწორედ ამ ბიჭების ხელით! საქართველოს ომებში კი ისაა საშინელება, რომ ეს ომები თავისივე აფხაზებისა და ოსების წინააღმდეგ წარმოებული ომი გამოდის, რაც ქართველების მიმართ სიძულვილის გარდა მეტს არაფერს თესს. ჩემდა სამწუხაროდ, მე ვრწმუნდები იმაში, რომ ქართველების უმრავლესობას არ ესმის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს იარაღით ვერ დააბრუნებ. აგვისტოს ომმა შერიგების პროცესი კიდევ 10 წლით გადაავადა. ამას ემატება ისიც, რომ ყველგან პროპაგანდაა. აფხაზეთში ეს რუსული პროპაგანდაა, თითქმის სრულიად ცრუ, მაგრამ საქართველოშიც ხომ ჩართულია პროპაგანდისტული მანქანა?

ჩემზე ძალიან იმოქმედა იმან, რომ საქართველოში ყველა საუბრობს გორის დანაკარგებზე, მსხვერპლზე, რომელიც რუსეთის შემოჭრას მოჰყვა. რასაკვირველია, ეს საშინელებაა, მე ვხვდებოდი ქართველ დევნილებს, დაღუპულთა ოჯახებს, ვერაფერი გაამართლებს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრას! მაგრამ ქართველები, პრაქტიკულად, უარყოფენ ცხინვალის დაბომბვის ფაქტებსა და ა.შ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არანაირ სამშვიდობო მოწესრიგებაზე საუბარი ჯერჯერობით არაა. სანამ არ გავაცნობიერებთ ფაქტებს, არ მოვინანიებთ საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულებს, მომავალში არაფერი მოხდება საიმედო და სამშვიდობო. ეს ჩემი სულის ამოძახილია და ეს ტკივილი მე მართლაც მტკივა. მე მსმენია მონანიების უფრო მეტი სიტყვები 1992 წლამდე აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებისგან, რომლებიც ქართველების მიმართ გამოვლენილ დაუნდობლობას ინანიებდნენ, ვიდრე ქართველების სინანულის სიტყვები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველებმა საერთოდ არც კი იციან 1992 წლის ომის რეალური ფაქტების შესახებ.

**— თქვენ ჩეჩნეთზე ფილმი გადაიღეთ. ჩეჩნეთის თემა ჩვენთვისაც მტკივნეულია. გარდა იმისა, რომ ამ ხალხის ტრაგედია გულთან ახლოს მივიტანეთ, ბევრი, განსაკუთრებით, კი აფხაზეთიდან დევნილი, ვერ ივიწყებს იმას, რომ ჩეჩნური რაზმები ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ...**

— ჩეჩნეთში 2000 წელს აღმოვჩნდი, როცა ამ ომზე ფილმს ვიღებდით. ვიყავი აბსოლუტურად შოკირებული. მერე სულ ვფიქრობდი, ადამიანები ნეტავ იქ როგორ ცხოვრობენ. ეს ომი „კინოს ომს“ ჰგავდა და მასში ყველაფერი გაუგებარი იყო.

ჩეჩნეთში ომი 13 წელი მიმდინარეობდა, ადამიანები დაიღალნენ და ბევრი რამ გადააფასეს. აფხაზეთში კი შედარებით ხანმოკლე ომი იყო, 13 თვე და ახლა აფხაზები თვლიან, რომ „თავისუფალნი“ არიან. ყოველ შემთხვევაში თავის თავს გამარჯვებულ ხალხად აღიქვამენ. ყველა, ქალების ჩათვლით, ამბობს, მოვკვდებით, მაგრამ უკან, საქართველოში არ დავბრუნდებითო. რასაკვირველია, დრო გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. რამდენიმე წლის წინათ აფხაზები ამბობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი „ოტმოროზკები“, კრიმინალები და ამატებდნენ, განა ყველა ქართველი ასეთიაო? ჩვენც ზედმეტი მოგვივიდაო, მეზობლად მცხოვრები ქართველების მიმართ უსამართლონი ვიყავითო; ადრე ხომ ერთად კარგად ვცხოვრობდით და ვმეგობრობდითო. მაგრამ ქართველი სამხედროები ჩვენს ქალებს აუპატიურებდნენ, გვიკლავდნენ ბავშვებსა და მოხუცებსო. ანალოგიური სიტუაცია იყო ჩეჩნეთში.

გეთანხმებით, აფხაზეთში ბასაევი ომის გმირი იყო. ბესლანის მერე, რასაკვირველია, მის მიმართ აფხაზებმა დამოკიდებულება შეიცვალეს. რას იზამ, დრო იცვლება. ბოლოს და ბოლოს ბასაევი რუსეთის ოფიცერი იყო.

**— აფხაზებს ნამდვილად სჯერათ, რომ ეს ომი მათი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო?**

— ისინი ამბობდნენ: ორი ბოროტებიდან უმცირესს ვირჩევთო... რასაკვირველია, რუსეთმა გამოიყენა სიტუაცია და „იყიდა“ ეს საბრალო ხალხი და თანაც მუხანათურად. აფხაზები ამას ნელ-ნელა გებულობენ და აცნობიერებენ. მათ მიამიტურად ჰგონიათ, რომ რუსეთი მათ უანგაროდ დაეხმარება და მერე გვერდზე გადგება. ეს მიამიტობა კი არა, სიბრიყვეა.

რუსები აფხაზეთში მიწებს სააგარაკოდ ყიდულობენ. რასაკვირველია., იაფად, რადგანაც ძალიან ბევრია მიტოვებული სახლი და მიწა. ვინც ჭკვიანია, იმას ესმის, თუ რა ხდება; იცის, რომ აფხაზეთს რუსეთი გადაყლაპავს, ოღონდ ყოველგვარი ომის გარეშე, ჩუმ-ჩუმად. მაგრამ უკვე გვიან იქნება, და მე აფხაზები ამის შესახებ არაერთხელ გამიფრთხილებია. უნდა მოხდეს შერიგება, მაგრამ თუ ომი დაიწყო, ყველა აფხაზი დაიღუპება. აფხაზები, ისევე როგორც ქართველები, შესანიშნავი მეგობრები არიან და ამავდროულად როგორც მტრები — საშინელნი.

**— აფხაზეთში ფილმს რის შესახებ იღებდით?**

— ფილმი იყო მაიმუნსაშენსა და, რასაკვირველია, ომზე. ომის დროს მაიმუნებიც დაშავდნენ. სხვათა შორის, როგორც აქ მითხრეს, მთვრალი ქართველები მაიმუნებს ქუჩაში ესროდნენო. ფაქტია: სხვა ქვეყნის ჟურნალისტებიც იგივეს ყვებოდნენ.

ძალიან მინდა ფილმი ქართველებსა და აფხაზებზე გადავიღო. სოხუმთან ახლოს ერთი სოფელია, იქედან ყველა გაიქცა, არავინ ცხოვრობს. მხოლოდ ერთი ქართველი მოხუცი და ქართული სასაფლაოა. რომ შეიძლებოდეს საქართველოში ამ სოფლის მცხოვრებთა მოძიება, კარგ ფილმს გადავიღებდი. ვინ იცის, იქნებ ეს ფილმი ქართველებსა და აფხაზებს შერიგებაში დაგვეხმაროთ. ამჟამად სხვა ფილმზე ვმუშაობ. ჩემს ახალ სურათში ქართველებისა და აფხაზების თემას მხოლოდ გაკვრით შევეხები. რადგანაც ფაქტების გაცხადება პოლიტიკოსებისა და არა რეჟისორების საქმეა. მე ჩემს ფილმებში ვცდილობ ადამიანის ცხოვრებაზე ისტორიული სინამდვილის გავლენა გავაანალიზო. ესაა და ეს. ამიტომაც უახლოეს მომავალში სოხუმში კვლავ მივემგზავრები.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

განსჯა

# „დროთა განმავლობაში აშშ და რუსეთი „გადატვირთვის“ პოლიტიკიდან კვლავ რეალისტურ ურთიერთობებს დაუბრუნდებიან“

(მესამე გვერდიდან)

**— მოსკოვში აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა, რომელზეც, როგორც წინასწარ იყო დაანონსებული, ძირითადი განსახილველი თემა სტრატეგიული შემტევი შეიარაღების საკითხი იყო. თუმცა არსებული ვარაუდებით, საუბარი საქართველოს და უკრაინასაც შეეხო. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა ჩვენთვის, მათ შორის — რუსეთთან ურთიერთობის ასპექტში?**

— მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, ვფიქრობ, მთავარი განსახილველი თემა მხოლოდ განიარაღება არ იყო. მართალია, პირველი შეხვედრა სწორედ რუსეთისთვის კომფორტული საკითხების ერთობლიობა უფრო იყო, ვიდრე ორი ქვეყნის ურთიერთობის დღის წესრიგში არსებულ საკითხებზე რეალურად მსჯელობა. მაშინ ობამას ადმინისტრაცია სწორედ რუსეთთან ახალი თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაზე აკეთებდა აქცენტს და შეხვედრის კეთილგანწყობილ ტონსაც სწორედ ეს განაპირობებდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ახლა სიტუაცია საკმაოდ შეიცვალა. გაზაფხულზე, აშშ-რუსეთის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ, მოსკოვის მიერ გადადგმულ ვერც ერთ შეხვედრ ნაბიჯს მე ვერ ვხედავ. პირიქით, რუსეთი მისთვის ჩვეულ რეალპოლიტიკას განაგრძობს და მის მიმართ გადადგმულ ყველა ნაბიჯს საკუთარი გაზრდილი მნიშვნელობის შედეგად აღიქვამს და არა კეთილი ნების გამოვლინებად, რომელსაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ვფიქრობ, ეს აშშ-ის ადმინისტრაციას სულ უფრო კარგად ესმის და დროთა განმავლობაში „გადატვირთვის“ პოლიტიკიდან კვლავ რეალისტურ ურთიერთობებში დაბრუნებას უნდა ველოდოთ. შესაძლოა, სწორედ ამ შეხვედრით დაიწყოს ეს პროცესი.



ამ მხრივ საქართველოსთვის აშშ-რუსეთის ამჟამინდელი უმაღლესი დონის შეხვედრა უდავოდ მნიშვნელოვანია. აქ კვლავ დაფიქსირდა საქართველოს საკითხის გამო მხარეთა განსხვავებული პოზიციები, ისევე, როგორც უკრაინის და ირანის გამო და ა.შ. მოველი, რომ ამ შეხვედრის შემდეგ გარკვეულწილად გაიზრდება კიდეც საქართველოს მიმართ აშშ-ის დაინტერესების და მხარდაჭერის გამოვლინება. იმის დასტურად, რომ საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსახილველი თემა იქნებოდა, ისიც გამოდგება, რომ სწორედ ობამას ვიზიტის წინა დღეებში გამოქვეყნდა რუსეთის გენერალური პროკურატურის დასკვნა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, საომარი მოქმედებების პასუხისმგებლობას რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს.

**— რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ ვიდრე საქართველოს მიხეილ სააკაშვილი მართავს, ქართულ მხარესთან ის არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავა. მედვედევის ამ განცხადების საფუძველზე შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ 2013 წლამდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არანაირ დათბობას არ უნდა ველოდოთ?**

— საქმე არც 2013 წელშია და არც სააკაშვილში. დათბობა მაშინ მოხდება, როდესაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას გაატარებს. პრობლემა ის არის, რომ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე პრორუსული პოლიტიკა ანტიქართულს ნიშნავს და საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საწინააღმდეგოა. ამიტომ, ჩემი აზრით, რუსეთთან ურთიერთობის დათბობა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოსთვის პრინციპულ საკითხებზე მოსკოვის პოზიციის შეცვლის შემდეგ.

**— ამავე განცხადების გათვალისწინებით, თუ ხედავთ რაიმე ალტერნატიულ გზას მოლაპარაკებების დასაწყებად, გარდა სააკაშვილის გადადგომისა?**

— ჩემი აზრით, გამოსავალი საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერის კონსოლიდირებაა რუსეთზე ევროპისა და აშშ-ის ზეწოლის მიზნით. მეორე საკითხია, რამდენად მოისურვებენ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის წინააღმდეგ რეალურად მტკიცე პოზიციის დაჭერას. როგორც გითხარით, რუსეთი საკმაოდ წარმატებით ახერხებს ევროპის ქვეყნების „ეგოისტურ“, ნაციონალურ ინტერესებზე თამაშს, რის შედეგადაც ზოგიერთი დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოს მხრიდან მთლიანად ევროპის პოლიტიკისგან განსხვავებული პოზიციის მოწმენი ვხდებით. სამწუხაროდ, ევროპაში ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად და ადეკვატურად შეფასებული რუსეთის რეალური სახე და ამ ქვეყნიდან მომდინარე პოტენციური საფრთხეები.

**ლევან სულაშვილი**

## სიტყვა ერის გასაგონად

***1990-იანი წლების დასაწყისში გარედან პროვოცირებული, მაგრამ მაინც სამარცხვინო სამოქალაქო ომის შემდეგ, ისეთი „ბარდაგი“ იყო საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, რომ განუკითხაობით გაწამებული ძალიან ბევრი პატიოსანი ადამიანი შველას, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოსკოვში მყოფ საკავშირო საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადამდგარ შევარდნაძეში ხედავდა. გასაკვირი იყო, რადგანაც ვინ იფიქრებდა, რომ კომუნისტური რეჟიმისგან განთავისუფლებულ (ფორმალურად მაინც) დამოუკიდებელ საქართველოში ამ რეჟიმის უერთგულეს მსახურს, პირწავარდნილ კომუნისტს ინატრებდა ისევ კაცი! მაგრამ მათი მსჯელობა უბრალო, საღ ლოგიკას ემყარებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ სწორედ შევარდნაძეს ხელეწიფებოდა წესრიგის დამყარება, და რომ ამას იგი აუცილებლად გააკეთებდა შემდეგი მიზეზის გამო:***

# დაუფიქრებლად ნუ დავხარბდებით ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ამოსულ მზეს

## ისევ ჩვენს სატკივარ-საფიქრალზე...



მსოფლიოში განვითარებული მოვლენების წყალობით იმ დროისთვის შევარდნაძე ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე საბჭოთა მინისტრად ითვლებოდა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ბერლინის კედლის დანგრევასა და გერმანიის გაერთიანებაში. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ პირადად რა როლი ითამაშა (ან ათამაშეს!) მან დასავლეთის მიერ წარმოებულ მსოფლიო პოლიტიკაში, ფაქტია, რომ ამ პროცესებში აქტიური მონაწილეობით შევარდნაძემ სახელიც მოიხვეჭა და ისტორიაშიც შევიდა, გერმანიისაში მაინც.

მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი პატარა ქვეყნის ისტორია, რომელშიც იგი თავისი სისხლიანი წარსულის გამო (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო იუზა კობახიძის და „თვითმფრინავის ბიჭების“ სიკვდილით დასჯა კმარა) ძალიან წვრილი და თან შავი(!) ასოებით იყო შესული, და რის გამოსწორებასაც იგი (ნორმალური ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე) უნდა ცდილიყო. ყველამ კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა, ვინ იყო შევარდნაძე, მაგრამ იმედი იმისა, რომ იგი თავისი სახელის მოსაპოვებლად (უპირველესად!) საქართველოში ნორმალურ (სამართლებრივად და მატერიალურად) ცხოვრებას აღადგენდა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ლონეს იხმარდა, დიდი იყო. ფიქრობდნენ, რომ ამ მიზნის მიღწევა შევარდნაძეს არ უნდა გაძნელებოდა იმ მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით, რაც მას კომკავშირულ, პარტიულ თანამდებობებზე და შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის დროს ჰქონდა მიღებული. ქვეყნის ფეხზე სწრაფად დაყენებაში მას, ეჭვგარეშეა, დაეხმარებოდა ევროპის (განსაკუთრებით, გერმანიის) და ამერიკის წამყვან პოლიტიკოსებთან კარგი ურთიერთობაც.

ქართველ ხალხს წესიერი ცხოვრებისკენ გადადგმული ნაბიჯები რომ დაენახა, შევარდნაძეს ყველა ძველ ცოდვას შეუნდობდა, ყველაფერს კრემლს გადააბრალებდა და იტყოდა: რა ექნა შევარდნაძეს, მოსკოვი არ აძლევდა გასაქანს, ახლა კი, როცა დამოუკიდებლად დაიჭირა ქვეყნის სადავეები ხელში, ხომ ხედავთ წესრიგიც დაამყარა და რა ბედნიერი დღე გაგვითენაო. „მხედრიონის“ დროებით გვერდში ამოყენებასაც აპატიებდა – ეს დიპლომატიური ეშმაკობა იყო, იმიტომაც შეარქვეს „ბებერი თეთრი მელაო“; აღარც „ზვიადისტების“ გამოსვლები იქნებოდა ასე მასშტაბური და შევარდნაძის მოძულე, მაგრამ ნორმალური ცხოვრების ნანატრ ხალხსაც კი შემოუბრუნდებოდა გული მასზე.

იმას ვინ იფიქრებდა, რომ ამ იმედებს მოსვლისთანავე დაამსხვრევდა შევარდნაძე. წესიერ ცხოვრებას ვინ ჩივის, უწესობის, უსამართლობის და კორუფციის აღზევება დაიწყო პირველივე დღეებიდან. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! სასტიკი, სისხლიანი აწიოკება და დაჭერები ზვიად გამსახურდიას მომხრეებისა, სამეგრელოს „ეგზეკუცია“ (რამდენჯერმე!), აფხაზეთში უაზრო ომი და მისი დანაშაულებრივად წარმოება(!), როცა ომის ანაბანას და დიპლომატიური ინჩი-ბინჩის არცოდნით (ან შეგნებულად, რაც კიდევ უფრო უარესია!) გამოიჩინა თავი შევარდნაძემ.

აფხაზეთთან დაკავშირებით მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე და საქართველოს საზიანოდ დადებულ ხელშეკრულებებზე ბევრჯერ დაიწერა, ამიტომ მხოლოდ ერთს, ძალზედ მნიშვნელოვანს გავიხსენებ : ყარაბაღის გამო დაწყებული სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს აზერბაიჯანმა რუსეთს, როგორც ომის პროვოკატორს და სომხეთის დამხმარეს, უარი უთხრა რუსი „სამშვიდობოების“ ჩაყენებაზე. აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან ეს იყო პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც სწორი გადაწყვეტილება. ამით, აზერბაიჯანმა თავი დაიზღვია და აიცილა უშუალო პროვოკაციები და აგრესიაც რუსეთის მხრიდან. ჩვენმა „მსოფლიო დონის დიპლომატმა“ კი აფხაზეთის ომში აქტიურად მონაწილე მხარე – რუსეთი, რომელიც ქართულ პოზიციებს ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰაერიდან ბომბავდა, „მშვიდობისმყოფელებად“ ჩაგვიყენა! და აკი ვიწვნიეთ კიდეც ამის შედეგი 2008 წლის აგვისტოში! მხარედაც რომ არ განვიხილოთ რუსეთი, კონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ამ მისიისთვის იგი მაინც მიუღებელი უნდა ყოფილიყო, როგორც მოსაზღვრე (!) სახელმწიფო. დავიჯეროთ, ეს არ იცოდა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა?

შევარდნაძის დიპლომატიური გაქანების დასახასიათებლად, მეტი ობიექტურობისათვის (და თან, ვინმეს შემოდავების სურვილი ტყუილად რომ არ გაუჩნდეს!), აუცილებელია მისივე სიტყვების ციტირება „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემული ერთ-ერთი ინტერვიუდან (იხ. 2008 წლის 12 მაისის ნომერი), სადაც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სხვაზე გადაბრალებას ცდილობს: „ვერასოდეს დავივიწყებ, აცხადებს იგი, როგორ მოგვატყუა (ელცინი) რეალურ ვითარებას ვერ აანალიზებდა. ომი დამთავრებულად გამოაცხადა“; „(ელცინი) რეალურ ვითარებას ვერ აანალიზებდა. ეს დამახასიათებელია ადამიანისთვის, რომელიც გაუთავებლად სვამს, და რომლის აზროვნების დონე დაქვეითებულია“.

განა რუს-ოსებისთვის როკის გვირაბის თავისი ნებით გადამლოცავ დიპლომატ კაცს (სხვა მიქარვებზე არაფერს ვამბობ) აქვს იმის უფლება, რომ „მოგვატყუაო“ თქვას და თანაც მრავლობითში?, თითქოს ჩვენ ყველას მიგველოს მონაწილეობა დაგომისის და მოსკოვის ხელშეკრულებების განხილვაში და მერე კოლექტიურად მოგვეწეროს ხელი. სად უნდა გამოყოს კაცმა თავი, თანაც რომელიც „დიპლომატიურ მელიაობაზე“ დებს ამ თავს, როცა საკუთარი პირით აღიარებს, რომ იგი არყის „სმისგან აზროვნებადაქვეითებულმა“, რეალური ვითარების გაანალიზების უუნარო ადამიანმა მოატყუა. ვინ გამოდის ჭეშმარიტად აზროვნებადაქვეითებული, ძნელი მისახვედრი არაა, მაგრამ განა უცებვე არ გაგიელვებს აზრი – ვითომ ასე ადვილად „მოტყუვდა“, თუ თავს იკატუნებს ჩვენი „თეთრი მელა“? რომელი დაშვებაა ჭკუასთან უფრო ახლოს? ორივე ვარიანტში ხომ კარგად ჩანს: პირველში – მისი გონებრივი „ბაგაჟი“ და დიპლომატიური სიმწიფე, მეორეში კი – სინდისნამუსი და „სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული“. არჩევანი მასზეა!

ყველა „სიკეთესთან“ ერთად მან ისე განიმტკიცა ძალაუფლება (კანონმდებლობით) და ისე გასვარა თითქმის ყველა დეპუტატი და მთავრობის წევრი კრედიტებით, რომ კაციშვილი არ იყო ხმის ამომღები იმ უკანონობაზე, გახმაურებულ მკვლელობებზეც კი (!), რაც ქვეყანაში ხდებოდა. ანეკდოტიც დადიოდა ქალაქში: „პარლამენტი ვერ იკრიბება, რადგანაც დეპუტატები კრედიტების რიგში დგანანო“!

**ერთი სიტყვით, ნაკომუნისტარი, „გიორგად“ მონათლული „ქრისტიანი“ ედუარდის დროს დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობას ნაღდი კომუნისტების დრო გაუხდა სანატრელი,** როცა, მართალია, გაჭირვება იყო, მაგრამ არც სინათლე გვაკლდა და გზებსაც არა უშავდა, წესრიგიც იყო და სამართალსაც ვაღწევდით, ქუჩაში და ბაღში (ღამითაც!) უშიშრად დადიოდნენ შეყვარებული წყვილები და არც ამდენი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი მკვლელობები ხდებოდა!

კომუნისტების დროინდელი მინუსები იყო ის, რომ არ ვიყავით დამოუკიდებელნი საგარეო პოლიტიკაში (დღეს ხომ ვართ და ვართ! საშინაოს მოკვარახჭინებას კი ქართული მარიფათობით ვახერხებდით) და საბჭოთა კავშირის (იგივე რუსეთის) რამდენიმე სამხედრო ბაზა იდგა საქართველოში. გვქონდა არა მარტო უზარმაზარი ბაზარი მთელი ჩვენი პროდუქციის გასასაღებლად, არამედ თავიც მოგვქონდა ჩვენი ქართველობით, „ვგრიალებდით“ ქართულადაც მთელ რუსეთში, და რუსებსაც საქართველოში ჩამოსვლა ერთ რამედ უღირდათ – ქართული სტუმარმასპინძლობით, ბუნებით და კურორტებით მოხიბლულნი ჩვენს მიმართ პატივისცემით და ერთგვარი მოკრძალებითაც კი იმსჭვალებოდნენ. თავად საქართველო მთლიანობაში ხომ ერთ-ერთ უმდიდრეს რესპუბლიკად ითვლებოდა მთელ კავშირში, მიუხედავად იმისა, რომ არც მაშინ გვქონდა ე.წ. ენერგორესურსები – ნავთობი და გაზი! არც საგარეო ვალი გვახრჩობდა და არც არავის ხელებში ვიყავით მიჩერებულნი!

ფაქტია, რომ ჩვენს ფიქციურ დამოუკიდებლობამდე არც რუსეთის ბაზების ყოფნას შეიგრძნობდა ვინმე საკუთარ თავზე და არც კოლონიურ სახელმწიფოში მაცხოვრებლად თვლიდა თავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კოლონიურ სახელმწიფოში დამონებული ხალხი არ შეიძლება კოლონიზატორებზე უკეთესად ცხოვრობდეს. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს. არადა ჩვენ, ქართველები, ნამდვილად უკეთესად ვცხოვრობდით, ვიდრე დამპყრობი რუსები! ასე იყო და ამას წყალი არ გაუვა! და თუ ცეკას პირველ მდივანს (ქართველს) და მეორესაც (რუსს), ზედამხედველად კრემლი გვინიშნავდა, ამას ყველანი შეგუებულნი ვიყავით – არა იმიტომ, რომ ეს გვსიამოვნებდა, არამედ იმიტომ, და ეს არის მთავარი, რომ ასეთი განაწილება ხელისუფლებისა არავითარ არსებით გავლენას ჩვენს ყოფაზე არ ახდენდა – განათლებაც უფასო და უკეთესი იყო, კულტურაც (კინო, თეატრი) – უფრო გაფურჩქნული და გატანილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, შრომის თუ ომის ვეტერანები და მეცნიერ-პედაგოგები უფრო დაფასებულნი და ა.შ. და ა.შ.

**ეჰ, იმ დღეში ჩავვარდით სააკაშვილის ხელში, რომ შეუდარებლად წესიერი კომუნისტების დრო კი არა, საქართველოს დაქცევის დამწყები შევარდნაძე გაგვიხდა ლამის სანატრელიო, იტყვის კაცი.** იტყვის და, მართალიც იქნება! სააკაშვილის „წარმატებებზე“ და გამონათქვამებზე ახალ-ახალი ამბებივით ყოველდღე შეიძლება აცხო კაცმა სტატიები თუ პამფლეტები. და ასეც ხდება ფაქტობრივად, მაგრამ ახლო წარსულზე საუბარი არა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ყველა ჩვენი უბედურება შევარდნაძის პერიოდში იღებს სათავეს, არამედ იმიტომაც, რომ თუ წარსული დავიწყებას მიეცა ისე, რომ მისი გაანალიზება დროულად არ მოხდა (არადა, ასეა დღეს – პირველი პრეზიდენტის მკვლელობიდან დაწყებული „ვარდების რევოლუციის“ ჩათვლით, მათი ჭეშმარიტი დამგეგმავ-განმხორციელებელნი უცნობია!), მაშინ ვერც ვერაფერს შევცვლით არსებითად – ეს ერთი მხარე, და მეორეც ის, რომ თუ ამისთანა კაცი ხდება სანატრელი, ადვილად წარმოსადგენია (უცხოელისთვის, თორემ ჩვენ მშვენივრად ვიცით!), რა დღეში ვიმყოფებით ამ ე.წ. ეროვნული ხელისუფლების, ანუ „ნაციონალების“ ხელში!

იხ. 6 გვ.

## ინფორმაცია

### ჩოჩიევი პრევენციული შეხვედრების ჩაშლას გეგმავს

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების შეხვედრებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.**



**ამის შესახებ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა „გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

**აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად ჩოჩიევმა ჯგუფის თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობა და უგზო-უკვლოდ დაკარგული ოსი მოქალაქეების ბედის გაურკვევლობა დაასახელა.**

**ცხინვალის კონფლიქტის ზონაში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა.**

**ცხინვალის რეჟიმი შეხვედრებზე ევროკავშირისა და რუსეთის თანათავმჯდომარეობას მოითხოვდა და მთავარ საკითხად ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმ მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას აყენებდა, რომლებიც, ცხინვალის რეჟიმის მტკიცებით, ქართულმა მხარემ გაიტაცა.**

### შამბას ობამას აზრი სულ არ აინტერესებს

**შეერთებული შტატების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარება სოხუმის რეჟიმისთვის არც ისე მნიშვნელოვანია. ამის შესახებ ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ „ვრემია ნოვოსტეისთვის“ მიცემულ ინეტრვიუში განაცხადა.**



**– აშშ-ს წინაშე იდგა ამოცანა – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვის ქართული საზოგადოების მტკივნეული აღქმა შეემსუბუქებინა. ბარაქ ობამას განცხადებებს არაფერი მოჰყვება. მე გამოვრიცხავ, რომ ამერიკელები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დაკავდებიან. დიახ, ისინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ, მაგრამ არც ველოდით, რომ ამერიკა ახლო მომავალში აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. თუ აშშ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, ჩვენ ამას გადავიტანთ, – განაცხადა სერგეი შამბამ.**

**ამასთან, შამბა დარწმუნებულია, რომ რუსეთი აფხაზეთის აღიარებას უკან არასოდეს წაიღებს და „ამ ფანტასტიკური სცენარის წარმოდგენის შემთხვევაშიც კი“ აფხაზეთი თავად არ იტყვის უარს საკუთარ დამოუკიდებლობაზე.**

ინტერპრესნიუსი

## სიტყვა ერის გასაგონად

# დაუფიქრებლად ნუ დავხარბდებით ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ამოსულ მზეს

(მეხუთე გვერდიდან)

უდავოა, რომ დამოუკიდებლობა უკეთესია, ვიდრე ვინმეზე დამოკიდებულება, მაგრამ იმასაც გააჩნია, ვისზე ხარ დამოკიდებული და ვისთვის რა მოაქვს ამ დამოუკიდებლობას, აძლევენ კი პატარა სახელმწიფოებს საკუთარი პოლიტიკის გატარების და, საერთოდ, დამოუკიდებლად არსებობის საშუალებას დიდი სახელმწიფოები? ძველად თუ უხეში ძალის გამოყენებით, ანუ დაპყრობით მიიღწეოდა მიზანი, ახლა მეთოდები დაიხვეწა და ქვეყნების ეკონომიკაზე კონტროლის მოპოვებით, „არასამთავრობო“ ორგანიზაციების მეშვეობით, ე.წ. ლიბერალური ღირებულებების დანერგვით და ეროვნული ნიშნების (ენა, კულტურა, სარწმუნოებისძ თანდათანობითი დაკნინებით, სულ ადვილად ხდება პატარა (და არცთუ პატარა!ძ სახელმწიფოების პოლიტიკის (როგორც საგარეო, ისე საშინაოძ არათუ გაკონტროლება, არამედ — სრული მართვა.

**დღეს ჩვენ ორი მხრიდან და ორნაირად ვართ დაკაბალებულნი:** ერთი მხრივ, დასავლეთისგან — მის მიერ ჩვენი ხელისუფლების გასახარად გამოყოფილი „დახმარების“ უზარმაზარი სესხებით (გასახარად, რადგანაც კრედიტების ძირითად ნაწილს პირად კეთილდღეობას და საკუთარი სავარძლების შენარჩუნებას ახმარენ — მათი დამცველი ძალოვანი სტრუქტურების ფულადი წახალისების გზითძ და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთისგან — სტრატეგიული თუ არასტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვით (კარგი გასამრჯელოს ფასად, „ატკატს“ რომ ეძახიანძ. **რუსეთი ფლობს, აკონტროლებს 85 (!) კომპანიას და 400-მდე (!) საწარმოში ლეგალურ წილში ზის.** ამჟამად ხომ სამად-სამი სტრატეგიული ობიექტი (რკინიგზა, ენგურჰესი, გაზსადენიძ დაგვრჩა გაუყიდავი და, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი ვერ გადაურჩება გაყიდვას, თუ სააკაშვილი და ძმანი მისნი დარჩნენ 2013 წლამდე. ღმერთმა და ქართველმა ხალხმა ნუ ქნას!

**თუ გაყიდული სიმდიდრეების (მიწა, წყალი, წიაღისეული), ობიექტების გამოსყიდვა შორეული პერსპექტივაა, აღებული მილიარდიანი სესხების გასტუმრება, საერთოდ, თეორიულ სფეროს განეკუთვნება,** მით უფრო დღევანდელი და დღევანდელის მსგავსი, სავარაუდო ხვალინდელი ხელისუფლების ხელში!

მწარეზე მწარე სინამდვილეა ის ფაქტი, რომ ჩვენი დღევანდელი, ვითომ დამოუკიდებელი საქართველო ასეთი, ყველაფერში დამოკიდებული და წყალწაღებული ქვეყანა, არასოდეს არ ყოფილა. **არასოდეს არ ყოფილა ქართველი კაცი: ასე გაჭირვებული, სხვის ხელებში შემყურე, ყოველდღიურ ლუკმა პურზე მაფიქრალი, საშოვარზე ცხრამთას იქეთ გადახვეწილი და წლობით ოჯახს მოწყვეტილი;**

**ასე** დაშინებულ-დაბეჩავებული, მოსმენილ-დასმენილი (37 წელთან ასოცირებულიძ, სამართალწართმეული და ციხეებში გამომწყვდეული;

**ასე** ლტოლვილად მყოფი საკუთარ, უკვე დეიურედ დანაწევრებულ სამშობლოში, და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი;

**ასე** განარკომანებულ-გარყვნილ-გაპედერასტებული;

**ასე** ფულზე გაყიდული და უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებთან შეკრული კორუმპირებული ხელისუფლების ხელში (2-3 წელიწადში ასეულობით მილიონს რომ შოულობენ ეს „ერის ბედზე მაფიქრალი“ წინამძღოლები!ძ;

**ასე** უფლებებაყრილი მართლმადიდებლობის ძირგამოსათხრელად უცხოეთიდან (!ძ დაფინანსებული სხვადასხვა ჯურის სექტებთან ბრძოლაში.

ხუთი წლის განმავლობაში მიღებულმა ჭკუის სასწავლებელმა გაკვეთილებმა ჩვენ ისევ იმ ცნობილ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანა, რომ **არავის იმედად და არც სხვის მიერ ხელდასხმული ხელისუფლების იმედად ყოფნა არ შეიძლება.** ყველა სახელმწიფო, და მით უფრო იმპერიული, მსოფლიოზე გავლენის მოსურნე სახელმწიფო, ჯერ თავის თავზე და ინტერესებზე ფიქრობს და შემდეგ — სამართალზე და სხვაზე, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, თუ ერთნაირი ცხოვრების წესი და ღირებულებები გააჩნიათ მათ. მაგრამ **თუ ღირებულებები, როგორც მაგალითად, ჩვენი — მამული, ენა, სარწმუნოება (განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი!), მისთვის მიუღებელია და დასახული მიზნის (გლობალიზაციის) განხორციელებაში ხელს უშლის, მაშინ იწყება ძალიან ტექნიკურად და შემპარავად, გლობალიზაციის არსში ჩაუხედავი ადამიანისთვის შეუმჩნევლად (საწყის ეტაპზე მაინც), ჩვენივე ხელით — დასავლეთში შესაბამისი ტრეინინგგავლილი და ერთობ საშიშ „ღირებულებებზე“ ტვინგადაბრუნებული, ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი, და ამიტომაც, ადვილად შესაცდენ-თავმოსაქონი (დიდზე დიდი გრანტანაზღაურებებით — სოროსის და სხვა, ამ მიზნებისთვის შექმნილი ფონდ-ინსტიტუტების მიერ გაღებული), ყველაფერზე ხელისმომწერი ახალგაზრდების ხელით ისეთი ვაირეფორმების გატარება , რომელიც მეთოდურად გვიღებს ბოლოს როგორც თვითმყოფად, ეროვნულ სახელმწიფოს. ეს კი გაცილებით საშიშია, ვიდრე ტერიტორიების დაკარგვა.**

ტერიტორიებს, ჩვენ თუ არა ჩვენი შთამომავლები — ქართულ ნიადაგზე და ქართული სულით აღზრდილები, ადრე თუ გვიან დაიბრუნებენ, შეეცდებიან მაინც. ასე ყოფილა ისტორიულად და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ **ენასულ-რჯულ და ტრადიციებდაკარგული ერი ვერაფერს ვერ დაიბრუნებს, არც ეცდება(!)** — იგი ადვილად შეეგუება ტერიტორიების გასხვისებას, ის უბრალოდ გაქრება, როგორც ერი! **ენამ და სარწმუნოებამ, საკუთარი ისტორიის და ტრადიციების არდავიწყებამ შემოინახა სამი ათასი წლის მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოში თუ უდაბნოში მოხეტიალე, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გაბნეული ებრაელი ერი, როგორც ერი, და არა ტერიტორიამ, როგორც ასეთმა!** თუ გვინდა ტერიტორიების დაბრუნება და ამის იმედი არ გადაგვეწუროს, უპირველეს ყოვლისა ჩვენს სულიერებაზე, მომავალი თაობის ეროვნულ ფესვებზე აღზრდაზე უნდა ვიფიქროთ და უარი ვთქვათ იმ რეფორმებზე, განსაკუთრებით აღზრდა-განათლების სფეროში, რაც ჩვენს გადაგვარებას და საბოლოო ჯამში დასამარებას გამოიწვევს.

მარტო სასტუმროების მომსახურებით — 50 ხუთვარსკვლავიანის აშენებას რომ გვპირდება სააკაშვილი ბათუმში (ალბათ, უკვე „აშენებული“ 100 საავადმყოფოს მსგავსად!ძ, არათუ ვერ შევინარჩუნებთ ჩვენს თვითმყოფადობას, არამედ საბოლოოდ დავილუპავთ თავს. თუ გვინდა თავის და ქვეყნის შველა, თუ გვინდა ფეხზე მყარად დადგომა და საკუთარი ქუდის დახურვა **აუცილებელია, პირველ რიგში, უფასო, ანუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული (კარგად დაფინანსებული!) განათლების აღდგენა.** პრობლემები და მოსაგვარებელი თავზე საყრელად გვაქვს, მაგრამ მხოლოდ განათლება (სახელმწიფოში დანერგილი და არა უცხოეთში განათლებამიღებულების იმედად ყოფნაძ თუ დაგვაპურებს სულიერადაც და პირდაპირი გაგებით, **მხოლოდ საყოველთაო მაღალი განათლებით შეიარაღება თუ მოგვცემს საშუალებას, წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენთვის მიუღებელ წესებს, ანუ შეძლებისდაგვარად მაინც დავიცვათ ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი მიწა, ჩვენი სარწმუნოება და კიდევ ბევრი რამ „გლობალისტების“ მარწუხებისგან,** რომელთა შემოჭერასაც ისინი ჩვენი გადაგვარებული თანამემამულეების ხელით, ჯერჯერობით, ერთობ წარმატებულად აკეთებენ.



ყველაფერი, ჩემს მიერ ზემოთ ნათქვამი, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს რუსეთისთვის ან ამერიკისთვის (ან ვინმესთვისძ ზურგის შექცევას და საკუთარ „ეროვნულ ნაჭუჭში“ ჩაკეტვას, მაგრამ უკანასკნელი 20 წლის და, განსაკუთრებით, ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში გატარებულმა პოლიტიკამ საბოლოოდ დამარწმუნა, მეც და ჩემთან ერთად ბევრი სხვაც, რომ **ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ამოსული მზისთვის დაუფიქრებლად, ეროვნული დამცავი მალამოს გარეშე სახის მიშვერა მოუშუშებელ დამწვრობასაც მოგვაყენებს (არცთუ შორეულ მომავალში) და ზნეობრივ გარუჯვასაც, მით უფრო, რომ რადიაციის დოზა უკვე საკმარისზე მეტი გვაქვს მიღებული!**

**იაკობ ლეჟავა**

**4 ივლისი, 2009 წ.**

## წკეპლიკა

# ამჯერად ვილნიუსიდან

**ლიტვის დედაქალაქში მორიგი საგრიალო ვოიაჟით „ჩაბოინგებული“ ჩვენი 2013 წლამდე პრეზიდენტი ჩვეული სიჩაუქით გამოეხმაურა ობამა-მედვედევის რატომღაც ეგრევე ისტორიულად გამოცხადებულ შეხვედრას და სხვათა და სხვათა სიბრძნეებს შორის ჩაკერებით ასეც დაგვმოძღვრა: ყველაფერს მივაღწევთ, ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ, რუსეთის ჯარებსაც გავდევნით, თუ ყველანი ერთად ვიქნებით, თუ ჭკუით ვიქნებითო.**

კიდევ კარგი, პირველი პირის ზმნა მრავლობით რიცხვში რომ იხმარა (ვიქნებითო!ძ, კიდევ უკეთესი, ერთი საგიჟეთის დირექტორივით რომ არ მოგვაბოლა — თუ ჭკვიანად ვიქნებით, წყალსაც ჩაგვისხამენო, მაგრამ მაინც გამიჩინა ოპოზიციური ფიქრი: ნეტავი, ყველას კარგად ყოფნით, ჯერ შენ იქნებოდე ჭკვიანად, მიხეილ-ბატონო და უკვე ამით ვიქნებით კარგად-მეთქი... შენი ჭკვიანად ყოფნა განსაკუთრებით ახლა გვჭირდება, მიხეილ-ბატონო, როცა აგვისტო ახლოვდება-მეთქი...

შე კაი სოროსისშვილო, რომ გაიძახი, ერთად დავდგეთ, ერთად ვიყოთო — შენი გაჭექილი დაცვის შიშით, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, როგორ დაგიდგეთ გვერდით და ეგეც რომ არა, როგორ ვიყოთ ერთად, როცა თავად ასე იშვიათად ხარ საქართველოში და უფრო იშვიათად — თბილისში?..

რა მექნა ახლა, „ჭკვიანად ყოფნის“ მომსმენს, ორი ანდაზა არ გამხსენებოდა? ერთი —„ „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“; მეორე — „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველებოდესო“... რა მექნა ახლა (როგორ ინტრიგანადაც არ უნდა მომნათლონძ, მეორე ანდაზა არ გარდამეთქვა? — ისეთმა ტვინმა დამცინოს, ჩემზე მეტს რომ იწონიდესო?..

...ვილნიუსიდან ისმის მუსიკა... შემდეგ ალბათ გახდება რიგა, მე კი რაც მქონდა, ისევ მაქვს ში...

# თუ ჩაგივლიათ მყვირალ საკნებთან...

**მკითხველმა უნდა მომიტევოს საკუთარი პუბლიკაციის ციტირება, მაგრამ ხომ მჭირდება? ახლახან იყო, რომ ვწერდი — საკნობანამ აბსოლუტურად არ გაამართლა, სოკოებივით მომრავლებულმა საკნებმა ბევრი უხერხულობა შეუქმნა დედაქალაქის მოსახლეობასაც და სტუმრებსაც-მეთქი.**

პარლამენტის შენობასთან ერთერთი ჩავლისას დავრწმუნდი, რომ „აბსოლუტურის“ თაობაზე ცოტა შევმცდარვარ: საკნებმა სამორინეს როლში ნამდვილად გაამართლეს. იმ ჩავლისას იყო, ყვირილი რომ შემომესმა საზაფხულოდ „მოღიაღებული“ საკნიდან: „რას ვშვრები და ტუზით დამა გავჭერი და მერე ყვავის კაროლი გადავაგდეო“.

ისე ეტყობა, რომ პოლიტიკური ფუნქციის მიღმა დარჩენილი საკანი ბანქოს (კარგისძ, შენაცვლებით დომინოს, ნარდის სათამაშო, ზოგჯერ ეგებ მცირე პურობის ადგილად ქცეულა და თბილისური ცხელი ზაფხულის პირობებში მეტს რაღას უნდა ამართლებდეს...

ერთი კია — სულხან-საბას ერთ იგავში ყროყინითა და ყეფით სახლის აშენებისა არ იყოს — კარტის თამაშით ნამდვილ მეფეს (მართლაც რომ ყვავისას!ძ როგორ გადააგდებენ რადიოპოებ, ვნახავ მაგას მე!..

**ლუკა გორგაძე**

## გუშინ — დღეისთვის

# იმპიჩმენტი

**საქართველოს ახალი კონსტიტუციის მისაღებად კარგი იქნება, თუ საკონსტიტუციო კომისიის წევრები გაითვალისწინებენ ამერიკელთა გამოცდილებას და კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლში ნათლად ჩამოაყალიბებენ იმ პროცედურას, რომლითაც შესაძლებელი იქნება უღირსი პრეზიდენტის გადაყენება. ეს პროცესი არც რთული და არც ზედმეტად გამარტივებული არ უნდა იყოს.**

აშშ-ს კონსტიტუციაში არის ისეთი მუხლი, რომელიც გულისხმობს თანამდებობრივი დანაშაულის გამო პრეზიდენტის სასამართლოსთვის გადაცემს, ანუ მუხლი იმპიჩმენტის შესახებ.

ბენჯამენ ფრანკლინი ამბობდა, რომ იმპიჩმენტის გარეშე პრეზიდენტის პოსტიდან გადასაყენებლად ერთადერთი საშუალება რჩება — მისი მოკვლა, რაც მას წაართმევს არა მარტო სიცოცხლეს, არამედ დაცვის შანსსაც.

აშშ-ს ისტორიაში იმპიჩმენტის გამოყენების ორი მცდელობა იყო: პირველი — 1865 წ. ენდრიუ ჯონსონის წინააღმდეგ, როდესაც პრეზიდენტმა სენატორის ერთი ხმის წყალობით შეინარჩუნა ძალაუფლება, მეორე — 1972 წელს, როდესაც რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა, გადამდგარიყო პრეზიდენტის პოსტიდან.

# წმიდა სამების გულისთვის?!

**აგრესორი სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ, თავიანთი მტაცებლური მიზნები ჰუმანური, კაცთმოყვარული, ალტრუისტული გრძნობების განხორციელებად წარმოეჩინათ.** ასე იყო მაშინ, როცა რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ სამჯერ (1772, 1793, 1795ძ დაინაწილეს პოლონეთის ტერიტორია. ამ დანაწილების სამივე დოკუმენტი იწყებოდა სიტყვებით: „წმიდა სამების გულისთვის“, მშვიდობის შენარჩუნებისთვის, პოლონელი ხალხის სასიკეთოდ და ა. შ. საბოლოოდ პოლონეთის სახელმწიფო გაანადგურეს და XVIII ს. ბოლოსათვის იგი უკვე არ არსებობდა.

ასე იყო მაშინ, როცა დაუძლურებულ ოტომანთა იმპერიაზე გავლენის მოპოვებისთვის, მისი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისთვის რუსეთი „თავს იკლავდა“ იქ მცხოვრები მართლმადიდებლების, ფრანგები — იქ მცხოვრები კათოლიკების ინტერესების დაცვისათვის, ინგლისი კი „ზრუნავდა“ ოსმალეთის იმპერიის ერთიანობის შენარჩუნებისთვის; ასე იყო მაშინაც, როდესაც რუსეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცხოვრები სლავების დამცველის როლში გამოდიოდა, სინამდვილეში კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაბატონებას ცდილობდა და ა. შ.



ასე არის ახლაც, როცა რუსეთი ცდილობს საქართველოს მოსტაცოს აფხაზეთი და სამაჩაბლო და ეს აგრესია აფხაზი და ოსი ხალხების ინტერესების დაცვად გაასაღოს.

**ვაჟა თვალავაძე.**

სულიერება

# „ანთიმოზობა" — ახალი საერო-საეკლესიო დღესასწაული!

**სულ ახლახან, 2009 წლის 26 ივნისს, სამცხეში, ადიგენის რაიონის სოფელ უდეში ჩატარდა წმიდა ანთიმ ივერიელის ხსენების დღე – „ანთიმოზობა". აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ეს ღონისძიება უკვე მეხუთეა (პირველად სოფელ უდეში „ანთიმოზობა" გაიმართა 2005 წლის 26 ივნისს) ყველაფერი კი ასე დაიწყო.**

ამ ათიოდე წლის წინათ , მე გავიცანი საქართველოში რუმინეთის პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე გირბეა, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. მაშინ მას შევთავაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას შეუწყობდა ხელს. მართლაც, ერთობლივი ძალისხმევით, 2000 წლის აპრილში დაფუძნდა რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება. საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილეობდნენ ქართული საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლები: აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე, ჯუმბერ ლომინაძე და მარიამ ლორთქიფანიძე; პროფესორები რევაზ მიშველაძე, ნიკა სააკაშვილი, გიორგი ცომაია, ნუგზარ სიხარულიძე, შალვა ნაჭყებია, ზაზა გაჩეჩილაძე; მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სესილი გოგიბერიძე; მხატვრული ფილმის „ანთიმოზ ივერიელის" რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი გიული ჭოხონელიძე; სასულიერო აკადემიის რექტორი, მეუფე აბრაამი; ბუქარესტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი რუხაძე. რუმინეთის მხრიდან დაფუძნებაში მონაწილეობდნენ ელჩი ბატონი კონსტანტინე გირბეა და კონსული ბატონი მარიუს კოსტინი.

დამფუძნებელ კრებას მე, როგორც ინიციატორმა, შევთავაზე ახალი საზოგადოებისათვის მიგვენიჭებინა ქართული წარმოშობის დიდი რუმინელი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, მხატვრის, მოქანდაკის, არქიტექტორის, მთარგმნელის, პოეტის, ორატორის, ფილოსოფოსის, მესტამბის, რუმინული სალიტერატურო და საეკლესიო ენის რეფორმატორის, მართლმადიდებლურ საქრისტიანოში გვიანდელი რენესანსის ფუძემდებლის, რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ანთიმ (ანთიმოზ) ივერიელის სახელი.

2005 წლის დასაწყისში ჩვენი საზოგადოების ოფისში მოვიდა სოფელ უდეს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ტიმოთე (ჩილაშვილი), რომელმაც გვამცნო, რომ მის მრევლში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცნობა, თითქოს ანთიმოზ ივერიელი წარმოშობით სწორედ სოფელ უდედან არისო. გვარად იგი ყოფილა ხურციძე, ანუ მესხ თავადთა საგვარეულოს მიეკუთვნებოდაო, და სავარაუდოდ თურქთა ერთ-ერთი შემოსევის დროს გაუტაცნიათ. ჩვენ ფრიად საყურადღებოდ ჩავთვალეთ ეს ინფორმაცია, ვინაიდან მანამდე, თუნდაც ასევე ზეპირად შემონახული რაიმე ცნობაც კი წმ. ანთიმ ივერიელის კონკრეტული დასახლებული პუნქტის მკვიდრად მოხსენიების თაობაზე არ გაგვიგია. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილი იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლეონიძის მოსაზრება, რომელიც მან 1951 წელს ჟურნალ „დროშის" №2-ში გამოაქვეყნა: „მისი (ანთიმოზ ივერიელის) მოტაცების ხანა ემთხვევა შაჰ ნავაზის (ვახტანგ V) და არჩილის მეფობის პირველ წლებს. მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით მშვიდობიანობა იყო, არავითარი ომები და თავდასხმები იმხანად არ ყოფილა. სულ სხვა იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც უსაშინლეს აწიოკებას განიცდიდა ოსმალოთაგან. ამიტომ, შესაძლოა, ანთიმი უფრო მესხეთიდან იყო წარმოშობით და იქიდანვე მოტაცებული".

შემდგომ შეხვედრაზე მამა ტიმოთეს ასეთი იდეა მივაწოდე: რაკი დღესდღეობით საქართველოში არც ერთი ქალაქი თუ სოფელი არ აცხადებს პრეტენზიას წმიდა ანთიმ ივერიელის წარმომავლობაზე, მიგვეღო ხსენებული ვერსია სავარაუდოდ, საკმაოდ დიდი ალბათობით (თუმცა არა მეცნიერულად დადასტურებულ ფაქტად) და შეგვეთავაზებინა სოფელ უდეს და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობისათვის ახალი სახალხო-საეკლესიო დღესასწაულის „ანთიმოზობის" დაწესება. მხოლოდ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის თანხმობის შემდეგ კი მიგვემართა საქართველოს საპატრიარქოსათვის, რეგიონალური და რაიონული ხელისუფლებისა და რუმინეთის საელჩოსათვის ამ წამოწყების თაობაზე ლოცვა-კურთხევის და მხარდაჭერის მისაღებად. მამა ტიმოთე თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ იდეის ხორცშესხმას. რასაკვირველია, იყო ბევრი სიძნელე, სკეპტიციზმი, როგორც მრევლის ერთ ნაწილში, ასევე თვით ჩვენი საზოგადოების წევრთა შორის და რუმინეთის ელჩის მხრიდანაც კი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ შევძლებდით მართლაც მასობრივი დღესასწაულის ტრადიციის დამკვიდრებას. დღეს უკვე შეიძლება თქმა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II და ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტის,მეუფე თეოდორეს ლოცვა-კურთხევით და თანადგომით, რეგიონის გუბერნატორის, რაიონისა და სოფლის საკრებულოების და გამგებლების მხარდაჭერით და მოსახლეობის გულმხურვალე მონდომებით, „ანთიმოზობა" დაფუძნდა მართლაც საერო-საეკლესიო ყოველწლიური დღესასწაულის სახით.

წლევანდელ „ანთიმოზობაზე" მთლიანობაში მონაწილეობა მიიღო ათასამდე სტუმარ-მასპინძელმა. თბილისიდან წამობრძანდნენ მეგობარი ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი მეჩის ლაურინკუსი და ჩვენი სახელოვანი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბატონი რევაზ მიშველაძე. ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოვიდა იქ მივლინებაში მყოფი რუმინეთის ამჟამინდელი ელჩი საქართველოში, დოქტორი დან მიჰაი ბარლიბა.

საზეიმო კონცერტზე განსაკუთრებით გაგვახარეს უდელმა პატარებმა, უდეს №1 და წმიდა ანთიმ ივერიელის სახელობის უდეს №2 საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა, ისევე როგორც უფროსკლასელებმა. როგორც კონცერტის დასასრულს, ასევე საზეიმო ტრაპეზის დროს თავისი ომახიანი სიტყა წარმოსთქვა მწერალმა რევაზ მიშველაძემ. შესანიშნავი გამოსვლები ჰქონდა რუმინეთის ელჩს, ბატონ ბარლიბას.

...აქვე მინდა რამდენიმე ცნობა მივაწოდო მკითხველს თვით წმიდა ანთიმ ივერიელის შესახებ. როგორც ირკვევა, ახალგაზრდობაში ანთიმ ივერიელს თავისი დროის კვალობაზე ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიუღია და სრულიად საქართველოც ჰქონია შემოვლილი. იგი კარგად გასცნობია სხვადასხვა კუთხის ხუროთმოძღვრულ ქმნილებებს. ამაზე მეტყველებს რუმინელი მკვლევარების კონსტანტინესკუ-იაშის, იონ ნანუს და სხვათა გამონათქვამები, რომ ანთიმ ივერიელმა რუმინულ ტაძართა რესტავრაციის თუ ახალთა მშენებლობის დროს გამოიყენა ბეთანიის, ნიკორწმინდის, იშხანის და მცხეთის მონასტრების დეკორატიული ფორმები და ორნამენტებიო.

უცნობია თუ როგორ მოხვდა ახალგაზრდა ანთიმი ტყვეობაში. ზოგიერთი ცნობით, ტყვეობიდან იგი იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა გამოისყიდა. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი მან თავის განათლებისა და ოსტატობის სრულყოფას მოახმარა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრავირების ოსტატი და კალიგრაფოსი, დაახლოებით 1689-1690 წლებში, ვლახეთის (დღევანდელი რუმინეთის ცენტრალური ნაწილი) დიდი მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ვლახეთს გაემგზავრა. მიწვევის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო ბრინკოვიანუსა და ბერძნული საპატრიარქოს შეთანხმება ვლახეთში დაეფუძნებინათ სტამბა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა საპატრიარქოსათვის ბერძნულ ენაზე წიგნების ბეჭდვა, რადგან კონსტანტინოპოლში, ჯერ კიდევ 1633 წელს, თურქებმა გაანადგურეს ბერძნული სტამბა.



ვლახეთში ჩასვლის შემდეგ ანთიმ ივერიელმა დააარსა 4 სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდებოდა ბერძნულად, რუმინულად, ძველსლავურად, თურქულად და არაბულად. ამ ენებს იგი თავად ფლობდა ბრწყინვალედ. ისე, რომ სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველის წყალობით „ვლახეთი გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა" (მ. როლერი).

ანთიმ ივერიელის ძალისხმევით, პირველი ქართული ეროვნული სტამბა დაარსდა თბილისში, ხოლო პირველი არაბული სტამბა – სირიაში, ქალაქ ჰალაბში. 26 წლის მანძილზე მისი უშუალო მონაწილეობით თუ მეთვალყურეობით ვლახეთში დაიბეჭდა 75 დასახელების წიგნი. მათგან 4 წიგნი თვით ანთიმ ივერიელის მიერაა დაწერილი, 10 წიგნს დაურთო წინასიტყვაობა, 5 წიგნისათვის შე-თხზა ლექსები, 6 თარგმნა ბერძნულიდან. შინაარსით ეს წიგნები სულ სხვადასხვა ხასიათისა იყო. სკოლების საჭიროებისთვის იბეჭდებოდა წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ისტორიაში, ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებაში, ფილოსოფიაში; ეკლესიისათვის – საღვთისმეტყველო წიგნები; ხალხს რომ გულისყური და სიყვარული გასჩენოდა წიგნის კითხვისადმი, ანთიმ ივერიელმა თარგმნა და დაბეჭდა წიგნი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ – „ალექსანდრია" და სხვ.

ცხადია, რუმინული საეკლესიო და სალიტერატურო ენის განვითარებას დიდი სტიმული მისცა ამ ენაზე წიგნების ბეჭვდამ. ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლიდან 5-6 წლის შემდეგ ისე სრულყოფილად დაეუფლა რუმინულ ენას, რომ „სახარების" და სხვა სალიტურგიო წიგნების ბერძნულიდან თარგმნის თუ რუმინულ ენაზე ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის პროცესში მან შეძლო დაეზღვია რუმინული ენა ყოველგვარი დამახინჯებებისაგან, გაეწმინდა უცხო სიტყვების და გამოთქმებისაგან, დაეახლოებინა სალაპარაკო ხალხური ენისათვის და გასაგები გაეხადა მოსახლეობისათვის. ამით მან დაიმკვიდრა რუმინული ენის ერთ-ერთი უდიდესი რეფორმატორის სახელი.

ანთიმ ივერიელი, როგორც უბადლო ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი, ეწეოდა დიდ აღმშენებლობით მოღვაწეობას. ხოლო როგორც ბრწყინვალე ფერმწერი, მოქანდაკე, გრავიორი თუ ხეზე ჭრის ოსტატი – მხატვრულ-შემოქმედებით მოღვაწეობას. 1708 წლიდან, როდესაც ვლახეთის უმაღლეს სასულიერო პირად – მიტროპოლიტად აირჩიეს, 1716 წლამდე, მისი უშუალო მონაწილეობით აგებული ან აღდგენილი, მოხატული და მოჩუქურთმებული იყო ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოველთა წმიდათა მონასტერი, რომელიც აღიარებულია „ეპოქის ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლად" და ხალხი, სიყვარულით, „ანთიმის მონასტერს" უწოდებს დღესაც.

ანთიმ ივერიელი, მიუხედავად სასულიერო წოდებისა, უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეც იყო. მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში კი მთავარი იყო ბრძოლა ვლახეთის გასათავისუფლებლად უცხოელ დამპყრობელთაგან. სწორედ ეს გახდა მიზეზი 1716 წლის 27 სექტემბერს მისი მოწამებრივად აღსრულებისა, როდესაც თურქმა დამპყრობლებმა განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯეს სიკვდილით.

წმიდა ანთიმ ივერიელმა დატოვა უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მისი ქადაგებანი თუ ფილოსოფიური ტრაქტატები დღესაც რუმინელი მეცნიერების შესწავლის საგანია. მომავლის საქმეა მათი თარგმნა და გამოცემა სხვა ენებზეც, უპირველეს ყოვლისა კი, ქართულ ენაზე.

ერთი რუმინელი ისტორიკოსის სიტყვებით: „რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, იმდენჯერ რუმინელი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს ანთიმ ივერიელს, რომელმაც დადო საძირკვლის ქვა რუმინეთის ეროვნული კულტურის ბალავარში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის".

ალბათ, ძნელი იქნება უფრო ლამაზად და ღირსეულად შეაფასო ამ დიდი პიროვნების მოწამებრივი ცხოვრება და ღვაწლი.

**თეიმურაზ რუხაძე,**
**წმიდა ანთიმ ივერიელის რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე**

**სურათზე: წმიდა ანთიმ ივერიელის ფრესკა რუმინეთის გოვორას მონასტერში. შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ წმ. ანთიმის სიცოცხლეში ნატურიდან.**

ინფორმაცია

## როგორ აუწევს ყურს ვენეციის კომისია ხელისუფლებას?

**არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები ვენეციის კომისიისგან ხელისუფლების მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით დასკვნას ითხოვენ.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა, ვენეციის კომისის გადაუგზავნან ინიცირებულ ცვლილებების პაკეტს, რომელიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, პატიმრობის, აგრეთვე, შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონებში.**

**ბესელიას თქმით, ისინი ითხოვენ ვენეციის კომისიამ დაწეროს დასკვნა და შეადაროს, რამდენად შეესაბამება ხელისუფლების ინიცირებული ცვლილებები ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.**

**ამ დასკვნის შემდეგ ხელისუფლების გადასაწყვეტია, გაუწევს თუ არა ანგარიშს ვენეციის კომისიის დასკვნას, — აღნიშნა მან.**

**მისივე განცხადებით, აქციების დაწყებიდან სამი თვის თავზე შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის მხარდამჭერებზე ყველაზე ძლიერი რეპრესიები ხორციელდებოდა. ზუსტად ფაქტებზე ინფორმაცია გადაგზავნილია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის ევროსაბჭოს წარმომადგენლობაში, რომელმაც რეკომენდაცია გასცა, რომ მასალები გადაუგზავნონ ევროსაბჭოს სათაო ოფისს, რასაც, ბესელიას თქმით, უახლოეს დღეებში გააკეთებენ.**

**9 აპრილიდან დღემდე დაკავებულია 116 ადამიანი, მათ შორის 33 — სისხლის სამართლის წესით, 41 — ადმინისტრაციული პატიმრობით. ხუთი გრაოთი გათავისუფლდა, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულია 41 ადამიანი, — აღნიშნა პარტიის ლიდერმა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას უჭერს მხარს

**ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, განაცხადა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, როდესაც რუსეთის ეკონომიკის სკოლაში გამოდიოდა.** „ქვეყნებს უნდა ჰყავდეთ თავიანთი ლიდერები და ჰქონდეთ მყარი საზღვრები, ეს შეეხება რუსეთსაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც", – თქვა მან. ობამას აზრით, საზღვარზე უფლებაზე უარის თქმას მივყავართ ანარქიამდე. „ეს მოიცავს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო და უკრაინა. ამერიკა არასოდეს მოახვევს თავს სხვა ქვეყანას უშიშროების რაიმე სისტემას", – ხაზგასმით აღნიშნა თეთრი სახლის ხელმძღვანელმა.

ბარაკ ობამამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს იხილოს რუსეთი ძლიერ და აყვავებულ ქვეყნად. „არ შემიძლია ვილაპარაკო მიკერძოებით მომავალზე, რისკენაც მიილტვის ამერიკა. ამერიკას, უეჭველია, სურს იხილოს რუსეთი ძლიერი, თავის თავში დარწმუნებული და აყვავებული ქვეყნის სახით. ასეთი პოზიცია არის რუსეთის ისტორიისადმი, რუსი ხალხისადმი ჩვენი პატივისცემის შედეგი. ჩვენი ხალხი უნდა გამოვიდეს დაპირისპირების პერიოდიდან. მიუხედავად ჩვენი მეტოქეობისა, ჩვენი ხალხები არასოდეს არ იბრძოდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ, ყოველთვის მოკავშირეები იყვნენ", – თქვა ამერიკის ლიდერმა.

ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გავაერთიანოთ ძალისხმევა, რათა ერთობლივად დავძლიოთ გლობალური ეკონომიკური კრიზისი. პრეზიდენტის სიტყვებით არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ებრძოლოს რეცესიის შედეგებს დამოუკიდებლად. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ურთიერთობათა განვითარებაში ორ ქვეყანას შორის თავისი როლი უნდა შეასრულონ არა მხოლოდ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, არამედ ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებმაც.



ამერიკის პრეზიდენტმა შენიშნა, რომ რუსეთს უკვე აღარ სჭირდება თვითდამკვიდრება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეტოქეობა და ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის. „XX საუკუნეში არსებობდა აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი ბედმა გაწირა ერთმანეთისათვის ანტაგონისტებად და რომ ძლიერი რუსეთი გადაიქცეს თვითდამკვიდრებულ ქვეყნად. XIX საუკუნეში კი გამეფებული იყო აზრი, რომ ჩვენ უნდა გვებრძოლა ერთმანეთთან გავლენის სფეროებისთვის და დიდი სახელმწიფოები უნდა იბრძოდნენ ერთმანეთთან, რათა მიაღწიონ ძალების ბალანსს. ორივე ეს იდეა არასწორია, 2009 წელს დიდი სახელმწიფოები არ ახდენენ თავიანთი სიძლიერის დემონსტრაციას, მოწინააღმდეგის დემონიზაციას", – თქვა ბარაკ ობამამ. „ორივე მიდგომა 21-ე საუკუნისათვის არასწორი აღმოჩნდა", – დაუმატა მან და განმარტა, რომ სწორედ ამიტომ მოუწოდა მან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს ურთიერთობათა „გადატვირთვაზე". „გვჭირდება არა უბრალოდ ახალი ფურცელი კრემლსა და თეთრ სახლს შორის ურთიერთობებში, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია. ამერიკელები და რუსები უნდა ისწრაფვოდნენ, რათა განსაზღვრონ ერთობლივი ინტერესები, გააფართოონ დიალოგი და თანამშრომლობა, რაც გზას გაგვიკაფავს პროგრესისაკენ", – მიაჩნია ამერიკის პრეზიდენტს.

კერძოდ, შეერთებულ შტატებს სურს, იმუშაოს რუსეთთან ერთად „ევროპასა და მსოფლიოში უშიშროების ახალი კონფიგურაციისათვის". თეთრი სახლის ხელმძღვანელის აზრით, ბირთვული იარაღის გავრცელება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა მსოფლიოსათვის". ობამას სიტყვებით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა იქმნება მხოლოდ „ირანისა ან ჩრდილოეთ კორეის მხრიდან თავდასხმის თავიდან ასაცილებლად". თუ ეს საფრთხე გაქრება, მაშინ აღარ იქნება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის აუცილებლობა. „მე ვიცი, რომ რუსეთი წინააღმდეგია ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დღევანდელი კონფიგურაციის გეგმებისა, – თქვა მან. – მე ჩემს ადმინისტრაციას დავავალე, გაზარდოს უშიშროება მსოფლიოში. ეს სისტემა მიზნად ისახავს თავდასხმის თავიდან აცილებას ირანის ან ჩრდილოეთ კორეის მხრიდან. მე მინდა ვიმუშაო რუსეთთან ერთად ახალ არქიტექტურაზე, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალ კონფიგურაციაზე". ობამამ დაუმატა, რომ ნატოს ალიანსი უნდა თანამშრომლობდეს რუსეთთან და არ ეძებდეს მასთან კონფრონტაციას.

# რუსეთმა საქართველოში საკუთარი თვითმფრინავები ჩამოაგდო

**რუსეთმა გასული წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოში 6 თვითმფრინავი დაკარგა და არა ოთხი, როგორც ამას ოფიციალურად იტყობინებოდნენ და სულ ცოტა აქედან სამი რუსებმა თვითონ ჩამოაგდეს, იტყობინება რუსული სამხედრო ჟურნალი.**

რუსეთმა მეზობელი საქართველო დაამარცხა და სწრაფად ჩაიგდო ხელში მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ხუთდღიან ომში მას შემდეგ, რაც აშშ-ის მოკავშირემ თავისი პრომოსკოვური მეამბოხე რეგიონის სამხრეთ ოსეთის დაბრუნება სცადა.



მაგრამ ომმა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არსებული სერიოზული ხარვეზები გამოააშკარავა, რამაც ზოგიერთ ანალიტიკოსში ეჭვი გააჩინა – შესძლებდა კი რუსეთი უფრო დიდი მტრის დამარცხებას და კრემლს დიდი ხნის წინ გადადებული სამხედრო რეფორმების დაჩქარებისკენ უბიძგა.

ხუთშაბათს, ყოველკვარტალურ რეპორტაჟში ავტორიტეტული ჟურნალი Moscow Defense Brief-ი სამხედრო წყაროებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ რუსეთმა 6 თვითმფრინავი დაკარგა და არა ოთხი, როგორც მთავრობამ მაშინ განაცხადა.

„რუსულ არმიასა და საჰაერო ძალებს შორის თანამშრომლობის არარსებობამ მათ სრულიად სეპარატული ოპერაციების განხორციელება აიძულა" – ნათქვამია ჟურნალში, რომელსაც დამოუკიდებელი მოსკოვური ორგანიზაცია, „სტრატეგიისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრი" გამოსცემს.

„პილოტები არ იყვნენ სრულყოფილად ინფორმირებულრლი არსებული სიტუაციის შესახებ, ილებდნენ არაზუსტ და დაგვიანებულ ინფორმაციას და საომარი მოქმედებების დასაწყისში... მათ საქართველოს საჰაერო ძალების სტრუქტურასა და შესაძლებლობებზეც კი ზუსტი ცნობები არ ჰქონდათ". გენერალ-პოლკოვნიკ ანატოლი ნოგოვიცინის მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, ჩანს, რომ რუსეთმა სამი მოიერიშე სუ-25 და ერთი ტუ22 M3, გრძელი დამიზნების ბომბდამშენი დაკარგა.

მაგრამ ეკიპაჟის წევრების სახელების, თვითმფრინავების ლოკაციის და ტიპის ზუსტი მითითებით, Moscow Defense Brief ამტკიცებს, რომ რეალურად, ხუთდღიან ომში მიმდინარე ბრძოლებისას, რუსეთის ექვსი თვითმფრინავი ჩამოვარდა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ კიდევ ორი თვითმფრინავი – სუ-24 ოფიციალურ ანგარიშში ნახსენები არ ყოფილა.

„ამ (ექვსიდან) ორი ნამდვილად მტერმა ჩამოაგდო, სამი, ალბათ, „მეგობრული ცეცხლით" ჩამოაგდეს და რთული დასადგენია, თუ როგორ ჩამოვარდა ბოლო", – ნათქვამია ჟურნალში. ხუთი თვითმფრინავი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაეცა, ხოლო მეექვსე – საქართველოში. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ კომენტარზე უარი თქვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ როიტერს განუცხადა, რომ ქართველებმა 15 რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ჩამოგდებული თვითმფრინავების გარდა, რამდენიმე სხვა სუ-25 სერიოზულად დაზიანდა, თუმცა ბაზაზე დაბრუნება შესძლეს, ნათქვამია ჟურნალში. ყველა ეს თვითმფრინავი მობილური სარაკეტო-საზენიტო დანადგარის მეშვეობით იქნა ჩამოგდებული, ნათქვამია ჟურნალში. ყველაზე მძიმე დღე რუსული ავიაციისთვის ომის მეორე დღე 9 აგვისტო გახდა – ამ დღეს ოთხი რუსული შვეულმფრინავი ჩამოაგდეს. სატრასპორტო ვერტმფრენი რამდენიმე დღის შემდეგ, ომის დასასრულ გამოვიდა მწყობრიდან, როდესაც დაშვებისას შეეჯახა და მძიმედ დააზიანა სამხედრო შვეულმფრენი.

„რუსეთის სახმელეთო ჯარები" ომის დასრულებამდე არ იყვნენ დარწმუნებული, მოიპოვა თუ არა რუსულმა ავიაციამ უპირატესობა" – აცხადებს Moscow Defense Brief-ი.

„რუსულ და ოსურ შეიარაღებულ ძალებს ხშირად ეშლებოდათ რუსული თვითმფრინავები ქართულში და ისინი ყოველგვარი იდენტიფიკაციის, მათი მხრიდან აგრესიული მოქმედებების გარეშე ესროდნენ ამ თვითმფრინავებს".

**დიმიტრი სოლოვიოვი**

REUTERS

## დედამიწის ზურგზე



**ტერორისტული აქტი ავღანეთში, დაიღუპა 25 კაცი – პოლიციელები და ბავშვები**

დანაღმული სატვირთო მანქანა გადაბრუნდა და აფეთქდა ტრასაზე, რომელიც ნუგარს ქაბულთან აერთებს. აფეთქება მოხდა ერთ-ერთი სკოლის მახლობლად, როდესაც იქ მიდიოდა პოლიციის პატრული. 21 სკოლის მოსწავლე და 4 პოლიციელი დაიღუპა.

* * *

**მოსკოვი უთანხმდება ბიშკეკს ყირგიზეთში სამხედრო ბაზის გახსნის შესახებ**

ყირგიზეთში სრული საიდუმლოების ვითარებაში ჩავიდნენ რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი და თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი. ზოგიერთი მონაცემებით, ისინი შეხვდნენ ყირგიზეთის პრეზიდენტს. მოლაპარაკებაზე, როგორც ვარაუდობენ, საკითხი შეეხებოდა სამხედრო ბაზის გახსნას ბოშის ან ბატკენის რაიონში.

* * *

**„დიდი რვიანი" შეთანხმდა, გამართოს სამიტი ბირთვული უშიშროების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში 2010 წელს**



ეს ინიციატივა წამოაყენა ბარაკ ობამამ სამუშაო ვახშმის მსვლელობის დროს. განვითარებული მრეწველობის ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ამ იდეას. უკვე შემდეგ კვირაში ამერიკის პრეზიდენტს განზრახული აქვს, გაუგზავნოს პირადი მოწვევა მომავალ სამიტებზე დაახლოებით 25-26 ქვეყნის ლიდერებს. საერთაშორისო შეხვედრა გათვალისწინებულია გაიმართოს ვაშინგტონში მარტში.

* * *

**JFK -ის აეროპორტის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი გადაკეტა 78-მა კუმ**

ამის შედეგად ეს ზოლი დაკეტეს დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. გაფრენები და დაფრენები შეჩერდა მთლიანად 1,5 საათის განმავლობაში. აეროპორტის ტერიტორია მოიცავს ჯამეიკის ზღვის უბეს და ატლანტის ოკეანეს. როგორც ეტყობა, სწორედ ამ გზით შემოვიდნენ ეს ცხოველები აეროდრომზე.

* * *

**კალიფორნიის ტყის ხანძარი ემუქრება გეტის ცნობილ მუზეუმს**

მუზეუმის კოლექციაშია ვინსენტ ვან გოგის ცნობილი ნახატი „ზამბახები". 800 მნახველი და თანამშრომელი ევაკუირებულია შენობიდან. მუზეუმში გამორთულია სავენტილაციო სისტემა, რათა დაცული იქნეს იქ დარჩენილი ხელოვნების ნიმუშები კვამლის მავნე გავლენისაგან.



სენსაცია

# სტალინის მრჩევლის საიდუმლოება

## ვინ დამალა ბელადის სეიფი მისი გარდაცვალების შემდეგ

**გარდაქმნის წლებში გამოქვეყნდა ვლადიმერ უსპენსკის რომანი „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“. მთავარი გმირი ვლადიმერ ლუკაშოვი გვიამბობს თავის როგორც სტალინის მრჩევლის შესახებ. ამ როლში იგი, თითქოს, იმყოფებოდა სამოქალაქო ომიდან გენერალური მდივნის გარდაცვალებამდე. გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, ჰყავდა თუ არა ამ გმირს რეალური პროტოტიპი.**

რომანის სიუჟეტის მიხედვით, ლუკაშოვი ცხოვრობდა ოთხოთახიან ბინაში, ე.წ. ბოროვიცკის ვოროტასთან, მაგრამ ეკავა მხოლოდ ორი ოთახი. დანარჩენი ორი სტალინს ეკუთვნოდა, რადგან იგი მოდიოდა კვირაში ერთი-ორჯერ თავის ყველაზე სანდო პირთან სასაუბროდ.

ბელადის სხვა შეხვედრები მრჩეველთან ხდებოდა სტალინის კაბინეტში კრემლში, სადაც ლუკაშოვი შემოდიოდა საიდუმლო კარით. იქვე, სტალინის კაბინეტის საიდუმლო ნაკვეთურში, იდგა მისი პირადი სეიფი. მასში, ლუკაშოვის სიტყვებით, ინახებოდა სტალინის ყველა თანამებრძოლის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ბელადმა ლუკაშოვს დაავალა სეიფის გადატანა საიმედო ადგილზე, სადაც მას ბერია ვერ იპოვიდა. მას ეშინოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ზოგიერთ დოკუმენტს არ გაეშავებინა იგი და არ დაემცირებინა მისი როლი ისტორიაში.

ლუკაშოვის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, „ბატონი“ ისე აფასებდა მრჩევლის აზრს, რომ ზოგჯერ ამ აზრს შეიძლება ჰქონოდა გავლენა მისაღებ გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, 1944 წელს მარშალი როკოსოვსკი ედავებოდა სტალინს შეტევით ოპერაცია „ბაგრატიონთან“ დაკავშირებით: ის სთავაზობდა ეწარმოებინათ ოპერაცია ერთდროულად ორი მიმართულებით, უმაღლესი მთავარსარდალი კი ერთის მომხრე იყო, როდესაც სტალინმა, რომელიც ვერ იტანდა საპირისპირო აზრს, შესთავაზა როკოსოვსკის: „გადით დერეფანში და მოიფიქრეთ!“ — ლუკაშოვმა ბელადის წინ მაგიდაზე დადო ბარათი სიტყვებით: „ის მართალია“. და ბელადმა მიიღო როკოსოვსკის თვალსაზრისი.

ასე იყო მართლა? რომანი მხატვრული ნაწარმოებია და მასში შესაძლებელია გამონაგონი. მაგრამ უსპენსკი დაბეჯითებით ადასტურებს, რომ ნ.ა. ლუკაშოვი რეალური ისტორიული პიროვნებაა.

როცა რომანი წავიკითხე, ვირწმუნე — მას საფუძვლად უდევს თავად ნ.ა. ლუკაშოვის მემუარები. თუმცა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს, როგორც ცნობილია, საიდუმლო მრჩეველი არ ჰყოლია, ამის შესახებ არ საუბრობენ სხვა მემუარისტები, მისი შვილები და შვილიშვილები. თავად გვარიც „ლუკაშოვი“ — გამოგონილია, რასაც აღიარებს მწერალი.

მაშ, იყო კი საერთოდ ასეთი კაცი?

თავის მემუარებში (უსპენსკის წიგნის მეშვეობით) „ლუკაშოვი“ გვატყობინებს, რომ მუშაობდა გენერალურ შტაბში ჩვეულებრივ თანამდებობაზე. „ლუკაშოვის“ ძებნა დავიწყე ცნობილი საბჭოთა მხედართმთავრების მემუარებში იმის იმედით, რომ მას ისინი აუცილებლად მოიხსენიებდნენ, თანაც ნამდვილი გვარით.

დავიწყე, რასაკვირველია, გ.კ. ჟუკოვის „მოგონებებითა და აზრებით“. მარშალი ასახელებს შტაბის მხოლოდ ოთხ მუშაკს: ა.ი. ანტონოვს, ს.მ. შტემენკოს, ა.ა. გრიზლოვს და ნ.ა. ლომოვს. ამ უკანასკნელმა უმალვე მიიპყრო ყურადღება ასოების — თ.ი.ო — თანხვედრით რომანის „საიდუმლო მრჩეველთან“. თუ ერთადერთი მოხსენიებით ვიმსჯელებთ, ლომოვს მართლაც ჩვეულებრივი თანამდებობა ეკავა.

ს.მ. შტემენკოს წიგნში „გენერალური შტაბი ომის წლებში“ მე წავაწყდი ფოტოგრაფიას, რომელზეც აღბეჭდილი იყვნენ შაპოშნიკოვი, ვასილევსკი, შტემენკო, გრიზლოვი და ლომოვი. დავინახე და — გავშეშდი: ეს ლომოვი ხომ მინახავს!

მწერალ ვ. უსპენსკისთან ინტერვიუს, რომელიც დაიბეჭდა მისი რომანის გამოსვლის შემდეგ, თან ახლდა სურათი, სადაც იყო ხუთი კაცი: სტალინი თავის მეუღლესთან ერთად, ვოროშილოვი მეუღლესთან და ვილაც მეხუთე. ჟურნალისტის შეკითხვაზე, ლუკაშოვი ხომ არაა ის მეხუთეო, უსპენსკიმ მაშინ რაღაც ჩაიბურტყუნა — ეტყობა, დაჰპირდა, რომ მას არ გასცემდა. მე ასე განვსაჯე: ეს რომ ლუკაშოვი არ ყოფილიყო, მწერალი მტკიცედ ეტყოდა „არაო“.




მაშ ასე, შტემენკო ლომოვს უწოდებს გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილეს. მას და უსპენსკის ინტერვიუში დაუსახელებელ ლუკაშოვს ერთნაირი სახე აქვთ, თუმცა ასაკში სხვაობა 30 წელია.

როდესაც ხელახლა წავიკითხე „ლუკაშოვის“ ბიოგრაფია უსპენსკის რომანის მიხედვით, მივედი დასკვნამდე: როდესაც მწერალს თავის შესახებ უამბობდა, მან ძალიან იცრუა. ტექსტში როდესაც დავინახე ყურით მოთრეული ამბები და შეუსაბამობანი, „ლუკაშოვ“ — ლომოვის რეალური ბიოგრაფია მე ასეთი კონსტრუქციით ჩამოვაყალიბე.

დაიბადა იგი 1899 წელს გლეხის ოჯახში. 1919 წელს მსახურობდა წითელ არმიაში ცარიცინთან (სადაც სტალინი იყო რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი), მას შეუყვარდა ასეულის უფროსის ცოლი. ლომოვმა კონფლიქტი გადაჭრა სროლით: მოკლა თავისი ასეულის უფროსი. დააპატიმრეს. მას დახვრეტა ემუქრებოდა. სტალინმა, რომელსაც მაშინ თავი ლიბერალად მოჰქონდა, იგი სიკვდილს გადაარჩინა. და ლომოვი გახდა სტალინის ერთგული მოსამსახურე მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს მხოლოდ ჩემი ვერსიაა, რომლის შემოწმებაც შეიძლებოდა იმ დოკუმენტებით, რომლებიც ინახებოდა სტალინის დღემდე მოუძიებელ სეიფში.

ლომოვი ბელადის არანაირი მრჩეველი არ ყოფილა. არამედ იყო განსაკუთრებულ დავალებათა საიდუმლო აგენტი. კერძოდ, როგორ დავალებათა — არ აზუსტებს. მხოლოდ აღნიშნა: ომის დასასრულს სტალინმა იგი ბერლინში გაგზავნა გერმანიის საიდუმლო დოკუმენტების მოსკოვში გაგზავნის კონტროლისათვის. სიტყვა „მრჩეველი“ უფრო სოლიდურად ჟღერს, ვიდრე აგენტი, ამიტომ ასე წარუდგა იგი უსპენსკის.

„ლუკაშოვის“ ბიოგრაფიაში არის შეგნებულად „დაბურული“ ადგილები. მაგალითად, სტალინის გარდაცვალების შემდეგ (წიგნის მიხედვით) ის თითქოს ემალებოდა ბერიას ხიმკინის დაბა ლებედში, ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებდნენ სამხედრო მეზღვაურები და სადაც შეღწევა არ შეეძლოთ ბერიას აგენტებს. ლომოვი კი ამ დროს შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის შტაბში მუშაობდა. მე ვენდობი წიგნს, რომელიც საარქივო მასალების მიხედვით იწერებოდა. დაბა ლებედის შესახებ ლომოვმა მოიგონა, ვინაიდან, თუ დაწერდა სიმართლეს ზემოთ აღნიშნულ შტაბში მუშაობის შესახებ, მის გვარს ამოიცნობდნენ: შტაბის უფროსი — შესამჩნევი ფიგურაა.


*ნიკოლაი ლომოვი — სტალინის საიდუმლო მრჩეველი?*

თავისი ნამდვილი სახელის გამომჟღავნებისა კი „საიდუმლო მრჩეველს“ ეშინოდა სიკვდილამდე. უსპენსკისაც კი არ მისცა არც თავისი მისამართი, არც ტელეფონი.

საიდუმლო აგენტი პირადად მონაწილეობდა სტალინის კრემლის კაბინეტიდან სეიფის გამოტანაში, რომელზეც გენერალური მდივნის სიკვდილის შემდეგ წარუმატებლად ნადირობდა ბერია. ლომოვის ნაამბობის მიხედვით რომან-მემუარებში, სეიფი წაიღეს „ლუკაშოვის“ პირად აგარაკზე, რომელიც მას სტალინმა სპეციალურად აჩუქა. ეს აგარაკი გაფორმებული იყო „ლუკაშოვის“ ქალიშვილზე, რომლის სახელიც რომანში ნახსენები არაა. ყველა პერსონაჟს აქვს სახელი — მხოლოდ ერთის გარდა. ესაა მთავარი გმირის ქალიშვილი. მწერალს კი შეეძლო მოეგონებინა ნებისმიერი სახელი. მაგრამ ეს არ გააკეთა. ეტყობა, ლომოვის ქალიშვილი როგორიც იყო უსახელო მემუარებში, ისეთივედ გადავიდა რომანში ინკოგნიტოდ.

იპოვნიან კი როდისმე ამ სეიფს? ეჭვი მეპარება. ნიკოლაი ლომოვის ქალიშვილი, მისი ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცოცხალი აღარ უნდა იყოს. მისი ქმრის გვარიც არავინ იცის. როგორც ჩანს, მთავარი საიდუმლოებები უდიდესმა კონსპიროლოგმა სტალინმა საფლავში ჩაიტანა.

**ვენიამინ მოჩალოვი**

**იოშკარ-ოლა**

### სპეციალისტის კომენტარები

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

***იური შჩეტინოვი**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის XX საუკუნის სამამულო ისტორიის კათედრის დოცენტი:*

*— ვერსია საინტერესოდ გამოიყურება, თუმცა ეს მხოლოდ ვერსიაა და მეტი არაფერი. რასაკვირველია, სტალინს, როგორც ნებისმიერ დიქტატორს, ჰყავდა ნდობით აღჭურვილი პირები — უიმათოდ წარმოუდგენელია. იყო იგი ლომოვი თუ სხვა ვინმე — ეს სერიოზულად უნდა გამოიკვლიო არქივებში შემონახული მასალების მიხედვით. შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენო სტალინის სეიფთან დაკავშირებული ისტორიაც: მასში არსებულ ძვირფას ქაღალდებს ბერია, რასაკვირველია, კონტროლიდან არ გაუშვებდა.*

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: მიმაჩნია, რომ სამსახურში შევიწროებული ვარ სხვა თანამშრომლებთან შედარებით, ვინაიდან არ ვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი. ისინი კი, რომლებიც ჩემი უფროსის „გუნდის წევრები“ არიან (ასე ეძახიან საკუთარ თავს) ზევიდან მიყურებენ და გალაღებული დადიან. თუ შეიძლება მაცნობეთ, რა ჩაითვლება პირის დისკრიმინაციად?**

**მკითხველი მ. ნ.**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზანს ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსებების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. თანამშრომელთა დიფერენცირება პარტიული ნიშნის მიხედვით კანონით დაუშვებელია.

* * *

**კითხვა: მყავს ორი ბავშვი. მოგეხსენებათ მოქმედი შრომის კოდექსი აღარ გვაძლევს უფლებას უხელფასო შვებულებით ბავშვის 3 წლის შესრულებამდე ვისარგებლოთ, ამიტომ გავედი სამსახურში, სადაც გათვალისწინებულია მორიგეობა ღამის საათებში. მე, როგორც 2 წლის ბავშვის დედას, მაქვს რაიმე შეღავათით სარგებლობის უფლება?**

**თამთა მდინარაძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) 3 წლამდე ბავშვის მომვლელის დასაქმება თანხმობის გარეშე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**სს „აგროინვესტბანკი“ აცხადებს საჯარო აუქციონს, გასაყიდად გამოტანილი იქნება:**

1. კომპიუტერული ტექნიკა; საკომუნიკაციო (ქსელური) მოწყობილობები; საოფისე ავეჯი და მოწყობილობები. ცეცხლსასროლი იარაღი; ცეცხლგამძლე სეიფები;

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 17 ივლისს 12 საათზე სს „აგროინვესტბანკის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №79.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სააუქციონო კომისიას შემდეგი დოკუმენტაციით:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

2. „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. „ბე“ გადახდილი უნდა იქნეს ნაღდი ანგარიშით. აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს.

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მოქმედება ხდება წარმომადგენლის სახელით.

4. იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2009 წლის 17 ივლისს 11-30 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომლებსაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებულები არიან წარმოადგინონ ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონებზე 8 22 312718 ან 899 184333.**

**სააუქციონო კომისია**

კალათბურთი

# მადეირამდე — კიევში



**წლეულს 6-16 აგვისტოს პორტუგალიის ქალაქი მადეირა 16 წლის კალათბურთელთა ევროპის პირველობის B დივიზიონის მატჩებს უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები გია კაზანჯიანის ხელმძღვანელობით. ჩვენი გუნდი სამი საკონტროლო მატჩის გასამართავად კიევში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: **უკანახაზელები** — ოთარ ფხაკაძე, ირაკლი მიქელაძე, ბექა ღუდუშაური, რეზო როგავა, ნიკა რამიშვილი, სანდრო მეგენეიშვილი; **ფორვარდები** — გიორგი ამირხანაშვილი, ლევან ლოლიშვილი, გელა გულმაგარაშვილი, გეგა მესხი, ნოდარ მესხი; **ცენტრები** — გიორგი ღვალაძე, ბექა ბურჯანაძე, ლერი კვანტალიანი.

ევროლიგა

# ახალი სისტემით

**გაისად 7-9 მაისს პარიზი ევროლიგის „ოთხთა ფინალს“ უმასპინძლებს. მანამდე კი კონტინენტის 24 საუკეთესო კლუბი ახალი ფორმატით ჩაებმება ბრძოლაში — ისინი ბარსელონაში გამართულმა კენჭისყრამ ოთხ ჯგუფად დაყო (თითოში — ექვსი გუნდი).**

EUROLEAGUE BASKETBALL

ორწრიანი ასპარეზობის შემდეგ ოთხ-ოთხი უძლიერესი შემდეგ ეტაპზე ითამაშებს.

პირველი ჯგუფური ტურნირი, სავარაუდოდ, 21 ოქტომბრიდან 14 იანვრამდე გაგრძელდება, ხოლო რჩეულთა ბატალიები — 27 იანვრიდან 11 მარტამდე. რაც შეეხება მეოთხედფინალებს, ისინი 23 მარტისა და 7 აპრილისთვისაა დანიშნული.

გაეცანით კატალონიის დედაქალაქში მოწყობილი წილისყრის შედეგებს.

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“, „სიენა“, „ციბონა“, „ფენერბახჩე“, „ჟალგირისი“, „ვილერბანი“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“, „პარტიზანი“, „უნიკახა“, „ეფესი“, „ლიეტუვას რიტასი“, კვალიფიკაცია — A.

**„გ“ ჯგუფი.** ცსკა, „ტაუგრესი“, „მაკაბი“, „რომა“, „ოლიმპია“, კვალიფიკაცია — B.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“, „რეალი“, „მილანი“, „სოპოტი“, „ხიმკი“, „ოლდენბურგი“.

ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ გათამაშდება ჯგუფური ტურნირის ორი ვაკანტური საგზური. მის მფლობელს საკვალიფიკაციო რაუნდი გამოავლენს, რომელშიც პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდებიან: „ორლეანი“ — „შარლერუა“, „ბენეტონი“ — „ვენტსპილსი“, „ალბა“ —„ლე მანი“, „მარუსი“ — „არისი“.

სწორედ პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე წყვილებში გამარჯვებულნი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ნახევარფინალში.

**გიორგი შოთაძე**

ეროვნული ჩემპიონატი

# კვლავაც უდანაკარგოდ



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ტურის ორი გამოტოვებული მატჩი გაიმართა. გათამაშების აუტსაიდერმა „უნივერსიტეტმა“ „ვისოლი ყოჩებთან“ 13:19 წააგო, ხოლო ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლელომ“ ვანში ქუთაისის „აიას“ აჯობა 17:10. ახლა „ლელოს“ 8 თამაშიდან 16 ქულა აქვს და კვლავაც მეწინავეობს.**

რაგბი

# შვიდკაცას ჰანოვერი უმასპინძლებს



**შაბათს ჰანოვერში (გერმანია) შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი დაიწყება. შეჯიბრებაში 10 ნაკრები მონაწილეობს. A ჯგუფში ითამაშებენ: საფრანგეთი, რუსეთი, მოლდოვა, რუმინეთი და გერმანია, ხოლო B ჯგუფში — საქართველო, პორტუგალია, იტალია, ესპანეთი და პოლონეთი. ნახევარფინალში თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი გადის.**

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა, რომელსაც წინა წლებში ფინალურ ეტაპზე მედლებიც კი მოუპოვებია, წლეულს სოპოტის (პოლონეთი) და ოდესის (უკრაინა) შესარჩევ ტურნირებში მესამე ადგილები დაიკავა და დასკვნით ეტაპზე 28 ქულით გავიდა.

ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა კახა ალანიამ საევროპოდ ასეთი შემადგენლობა შეარჩია: დავით ბოლქვაშვილი, შალვა სუთიაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, რევაზ გიგაური, გიორგი შკინინი, სიმონ მაისურაძე, ირაკლი გეგენავა და ალექსანდრე ტუჩაშვილი.

**შაბათს, 11 ივლისს, ითამაშებენ:** პოლონეთი — პორტუგალია, იტალია — ესპანეთი, პორტუგალია — საქართველო, იტალია — პოლონეთი, ესპანეთი — საქართველო, პორტუგალია — იტალია, ესპანეთი — პოლონეთი, იტალია — საქართველო, პორტუგალია — ესპანეთი, საქართველო — პოლონეთი.

**გიორგი გაგუა**

კრივი

# თითმოტეხილმა როგოზინამ მაინც გაიმარჯვა



**სუპერსაშუალო წონის მოკრივემ ნატალია როგოზინამ, მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ერთხელ კიდევ გამოავლინა თავისი სპორტული ნებისყოფა და ხასიათი.**

მან ამერიკელ ლაურა რემსისთან ორთაბრძოლა ჩაატარა მარცხენა ხელზე მოტეხილი თითით და მაინც გაიმარჯვა მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

„დიაგნოზი არასასიამოვნო იყო — გაბზარული ფალანგა, სასტუმროში ხელი გამისივდა და მივხვდი, რომ სერიოზულად დავიზიანე ის“ — განუცხადა ნატალიამ ჟურნალისტებს.

ჭადრაკი

# დაწინაურდა კარლსენი

**დორტმუნდში ოცდამეჩვიდმეტედ იმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 სუპერდიდოსტატი მონაწილეობს:** მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2772ქ, დიმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2760ქ, ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2759ქ, პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2756ქ, ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი, 2721ქ და არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2697ქ. საგულისხმოა, რომ კრამნიკი ამ ტურნირის 8-გზის გამარჯვებულია, ლეკომ სამჯერ მიაღწია წარმატებას, ხოლო ნაიდიჩი ერთხელ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

დორტმუნდში უკვე გათამაშდა 6 ტური. 4 ქულით კარლსენი ლიდერობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს კრამნიკმა და ლეკომ. იაკოვენკოს სამი ქულა აქვს, ბაკროს — 2,5, ხოლო ნაიდიჩს — 1,5 ქულა.



ინტერნეტიდან

## მშენებლები სტადიონიდან წავიდნენ



**საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ აფრიკაში ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის სტადიონების მშენებლობის საქმეში. მშენებლები გაიფიცნენ და სამუშაოები მიატოვეს. ამაზე აფრთხილებდა შესაბამის ორგანოებს მაღაროელთა პროფკავშირი, სადაც მშენებლებიც შედიან.**

70 ათასმა მშენებელმა მუშაობა შეწყვიტა 5 დაუმთავრებელ სტადიონზე — იოჰანესბურგში, დურბანში, კეიპტაუნში, ნელსპრიეტსა და პოლოკვარეში. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის 13 პროცენტით გაზრდას. რატომ მაინც და მაინც 13 პროცენტით? იმიტომ, რომ ივლისიდან სწორედ 13 პროცენტით გაიზარდა კომუნალურ მომსახურებაზე, კერძოდ კი ელექტროზაზე, გადასახადი. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებამ ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო, ის მხოლოდ 10,4-პროცენტიან მომატებაზეა თანახმა.

მართალია, მშენებლები ობიექტებზე გავიდნენ, მაგრამ სამუშაო იარაღებითვის ხელი არ მოუკიდიათ. ეს აქცია, ალბათ, გადასწევს ყველა სტადიონის ჩაბარების ვადებს. თუმცა ჩემპიონატის მოსამზადებელ კომიტეტში აცხადებენ, რომ სტადიონები ვადაზე, ოქტომბერში ჩაბარდება, კეიპტაუნის სტადიონის გარდა, ის დეკემბრის შუა რიცხვებში უნდა ჩაბარდეს. თუმცა ორგანიზატორები მაინც ყველაფერს გააკეთებენ მშენებლებისთვის კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღებად.

## მერე, რა რომ წვიმდა



**როგორც ლოზანადან იტყობინებიან, შვეიცარიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე Ahtletissima-2009, გადაუღებლად რომ წვიმდა, სამგზის ოილმპიურმა ჩემპიონმა, იამაიკელმა უსეინ ბოლტმა ორას მეტრზე სირბილში აჩვენა ისტორიაში მეოთხე შედეგი — 19,59. ადრე მისი შედეგი იყო 19,30, ხოლო ამერიკელების მაიკლ ჯონსის — 19,32, ტაისონ გეის კი — 19,58 წამი.**

100 მეტრზე ბოლტს არ ურბენია, მისმა თანამემამულემ პაუელმა აჩვენა 10,07 წამი. ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილშიც იამაიკელმა ფრეიზერმა გაიმარჯვა — 11.03. ისევ მათმა თანამემამულე ქალმა სტიუარტმა გაიმარჯვა 200 მეტრზე სირბილშიც — 22.73.

## ბრიტანელებს აღაფრთოვანებს

**უელსის ერთ-ერთმა ყველაზე ლამაზმა ქალმა, ოპერის მომღერალმა კეტრინ ჯენკინსმა მონაწილეობა მიიღო ინგლისის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ დაპირისპირებაში. კარდიფში დაიწყო მორიგი გათამაშება კრიკეტში მატჩების ტრადიციულ სერიაში ინგლისისა და ავსტრალიის გუნდებს შორის — „გვამის ურნა“.**



კეტრინის მიპატიჟებით ორგანიზატორებმა „ორი კურდღელი“ დაიჭირეს — ჯერ ერთი, ქალიშვილმა მატჩების დაწყების წინ ბრწყინვალედ შეასრულა ეროვნული ჰიმნი და მეორეც — არც ერთ ღირსეულ სპორტსმენს უფლება არა აქვს სახლში შეხვედრის წაგებისა, როცა ასეთი ლამაზმანი გიჭერს მხარს.

თავად ტურნირს ძალზე საინტერესო და ძველი ისტორია აქვს — ის დაიწყო 1882 წელს, როდესაც ინლისელები პირველად დამარცხდნენ ავსტრალიელებთან და ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, რომ ინგლისური კრიკეტი გარდაიცვალა და რომ მისი „გვამი“ ავსტრალიელებს გადაეცათ.

კარგა ხნის შემდეგ ინგლისელები ისევ დამარცხდნენ ავსტრალიელებთან და მათ პრიზის სახით გადაეცათ ურნა, ინგლისური კრიკეტის „გვამით“. ის ფაქტობრივად კრიკეტის კარის ფერფლით იყო სავსე. მას შემდეგ ინგლისელებიც და ავსტრალიელებიც ცდილობენ ერთმანეთისთვის ამ პრიზის წართმევას, რომელშიც, როგორც ამბობენ, დარჩენილია ძველი ფერფლი.

ტურნირი მორიგეობით, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ინგლისსა და ავსტრალიაში, აუცილებლად ზაფხულში.

◎ მეცნიერის ხსოვნა

# „ის, ვინც ღმერთებს უყვარს, ადრე მიდის ცხოვრებიდან...“



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა გამორჩეული ქართველი მეცნიერის, გენომური დაქტილოსკოპიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის აპოლონ ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა.**

აპოლონ ჯინჭარაძე 28 წლისა გარდაიცვალა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ ძველი ბერძენი დრამატურგის მენანდრეს სიტყვები დაიმოწმა — ის, ვინც ღმერთებს უყვარს, ადრე მიდის ცხოვრებიდან. ასე განეშორა ამ წუთისოფელს აპოლონ ჯინჭარაძე.

აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, რომ უდროოდ წასული თვალსაჩინო მეცნიერის სახელი დიდ სინანულსა და სევდასთან ერთად სიხარულსაც უკავშირდება. სინანული და სევდა გვიპყრობს, რომ იგი ცოცხალი აღარაა, გვიხარია, რადგან იყო დიდი, საერთაშორისო დონის მეცნიერი: „1989 წელს წავიდა ამქვეყნიდან. ხოლო მაშინ, როცა რუსებს ქართველები გულზე აღარ ეხატებოდათ, 1996 წელს, რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა“.

გიორგი კვესიტაძემ აპოლონ ჯინჭარაძის ღვაწლი მოლეკულურ ბიოლოგიაში, პოეზიაში ლადო ასათიანის ლექსებს შეადარა.

აკადემიკოსმა თენგიზ ბერაძემ აპოლონ ჯინჭარაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მიმოიხილა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, აპოლონ ჯინჭარაძემ ასპირანტურა მოსკოვის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში დაამთავრა და იქ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მოსკოვში იგი 1982-87 წლებში მოღვაწეობდა, 1987 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

ბატონი თენგიზ ბერაძის თქმით, აპოლონ ჯინჭარაძის დამსახურება იყო, რომ მან მოლეკულური დაქტილოსკოპიის მეთოდი (რომელიც მანამდე



მხოლოდ ადამიანებით იყო შემოფარგლულიძ მთელ ცოცხალ სამყაროზე გაავრცელა მიკროორგანიზმებიდან დაწყებული ადამიანებით დამთავრებული. ეს მეთოდი დღესაც ძალიან ფართოდ გამოიყენებაო.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცრიშვილმა აპოლონ ჯინჭარაძე გამორჩეულ სტუდენტად მოიხსენია, ვისაც ჰქონდა უიშვიათესი თვისება — მიზანსწრაფვა რაღაც მიმართულებით, რითაც ჭეშმარიტი მეცნიერი ყალიბდებოდა. მისი მიზანსწრაფვა მოლეკულური ბიოლოგია აღმოჩნდა.

იგი იყო უნიკალური გარეგნობის, ნიჭიერი, განათლებული, საოცრად მშვიდი, რასაც მეცნიერება საჭიროებს, ყველა თვისებით იყო შემკული. რომ ეცოცხლა, ჩვენს დარგში წარმატებული მეცნიერი იქნებოდაო.

იმ საღამოს აპოლონ ჯინჭარაძე გაიხსენეს: 47-ე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა მერი მოწონელიძემ, უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის თანამშრომელმა თინა ჯოხაძემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო შენგელიამ, თანაკურსელებმა: ვასილ გაბუნიამ, მაია მესხმა, ხათუნა გოდერძიშვილმა.

მათ ილაპარაკეს აპოლონ ჯინჭარაძის ადამიანურ თვისებებზე — მეგობრისადმი თანადგომასა და ყურადღებაზე. „ბიოლოგებისთვის სტუდენტური პრაქტიკა მაინც გასართობი იყო, აპოლონი კი ამ დროსაც ცოდნის შესაძენად ხარჯავდა. ყველამ ვიცოდით, მას კარგი მომავალი ელოდებოდა, მაგრამ ტრაგიკულად დაასრულა მოღვაწეობა“, — აღნიშნა თანაკურსელმა ვასილ გაბუნიამ.

აპოლონ ჯინჯარაძემ საკუთარი ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო. იმ საღამოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში აპოლონის დედა და ძმა მოვიდნენ.

ამაღელვებელი იყო ბადრი ჯინჭარაძის მიერ ძმასთან ერთად გატარებული წლების გახსენება. მას ბავშვობიდანვე იზიდავდა ბუნება, რაღაც ექსპერიმენტებსაც ატარებდა, მრავალმხრივი ცოდნით გამოირჩეოდა, და რაც მთავარია, მეცნიერება მისი ჰობი იყოო.

ითქვა ისიც, რომ აპოლონ ჯინჭარაძის ღვაწლი დღემდე სათანადოდ არ დაუფასებიათ. მას ბევრი არ იცნობს. კარგი იქნება, თუ მის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ინტერნეტშიც გავრცელდებაო.

მეცნიერის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომაც მისი ღვაწლის წარმოჩენის ლამაზ დღედ გადაიქცა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ კაცი იმედით ცოცხლობს

# უმადურობით შორს ვერ წავალთ...

## პირველი სასოფლო-სატვირთო ბაგირგზები ჯავის რაიონში



**დღეს, როდესაც ასე გამწვავდა ურთიერთობა ყოფილ სახრეთ ოსეთის ოლქსა და საქართველოს, ოს და ქართველ ხალხებს შორის, ურიგოდ არ მიგვაჩნია, რომ გავიხსენოთ ზოგიერთი მომენტი ახლო წარსულიდან ჩვენი ერთობლივი შრომისა და ძალისხმევის შესახებ, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა და აღრმავებდა ჩვენს ისტორიულ და ტრადიციულ თანაცხოვრებას.**

**ამასთან დაკავშირებით გვინდა ვისაუბროთ სასოფლო-სატვირთო ბაგირგზების შესახებ, რომლებიც, პირველად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაინერგა და ამოქმედდა თვალწარმტაც ჯავის რაიონში.**

საქართველოს მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმდროინდელი სახელმწიფო გეგმებით საფუძველი ჩაეყარა სამთო მეცხოველეობისა და მისი საკვები ბაზის შექმნისა და განვითარების დიდ სამუშაოებს.

საკვები ბაზის შესაქმნელად, რაც ითვალისწინებდა მთიანი სათიბებიდან თივის ჩამოზიდვას უშუალოდ მეცხოველეობის ფერმებთან მაქსიმალური მიახლოებით, დაისახა სპეციალური სასოფლო-სატვირთო ბაგირგზების კონსტრუქციების შექმნისა და დანერგვის ამოცანები.

ეს სამუშაოები მაშინ დაევალა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან ახლად დაარსებულ ბაგირგზების განვითარების სამმართველოს — საქბაგირგზას, რომელმაც ერთობ შემჭიდროებულ ვადებში შექმნა მსუბუქი ტიპის სასოფლო-სატვირთო ბაგირგზების კონსტრუქციები, რომლებიც პირველად დაინერგა ჯავის რაიონის სოფლებში გუფთასა და სოხტაში. გუფთის მეცხოველეობის ფერმაში, მაგალითად, სატვირთო ბაგირგზით თივის დიდი ზვინი სათიბიდან პირდაპირ ფერმაში შეიზიდებოდა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა გადაზიდვის მანძილს და, შესაბამისად — თვითღირებულებასაც, აგრეთვე სხვადასხვა სახის დანაკარგებსაც, რაც ყოველთვის თან ახლავს ასეთი სახის სამუშაოებს.

ბაგირგზების დანერგვის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯავის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის ოლქის მშრომელებმა და ხელმძღვანელებმა.

მეორე სატვირთო ბაგირგზა ელექტროამძრავით დაინერგა სოფელ სოხტაში, რომელსაც ასევე თივა ჩამოჰქონდა მაღალმთიანი სათიბებიდან, ზამთრის პერიოდში კი ამ ბაგირგზას ადგილობრივი მცხოვრებლები იყენებდნენ მცირე ზომის შეშის ჩამოსატანად.

პიონერული ბაგირგზები დაათვალიერეს და მათ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს ხელმძღვანელებმა და საკავშირო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლებმა. დანერგვის შედეგები ფართოდ გააშუქეს საქართველოს იმ დროის წამყვანმა გაზეთებმა, რომლებმაც ამ სიახლეს „ჯავის ექსპერიმენტი“ უწოდეს.

ანალოგიური ბაგირგზის მშენებლობა დაიწყო სოფელ წრუშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ჯავის რაიონში შექმნილიყო მყარი ბაზა სამთო ტურიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, დაიგეგმა რამდენიმე სამგზავრო ბაგირგზის მშენებლობა, რაც დიდად შეუწყობდა ხელს მთლიანად ჯავის რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

— საქართველოს მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და კულტურული განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის დამფუძნებელი მეცნიერები და წარმოების სპეციალისტები, — ამბობს ასოციაციის თავმჯდომარე, საქსპეცტრანსის გენერალური კონსტრუქტორი, ტექნიკის დოქტორი, პროფესორი შოთა ორჯონიკიძე, — დიდ იმედებს გამოთქვამენ, რომ აღდგება ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული ურთიერთობა და ჯავის რაიონის აღორძინებაში



მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამგზავრო და სატვირთო ბაგირგზების სისტემების შექმნა და ფართოდ დანერგვა.

**ზურაბ ლომიძე**

◎ ინფორმაცია

## კახელი გლეხები უწყლოდ დარჩებიან?

**კახელი გლეხები სარწყავი წყლით სარგებლობის გადასახადის გაიაფებას ითხოვენ. როგორც გლეხებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, 1 ჰექტარი მიწის მორწყვისთვის გადასახადი 75 ლარს შეადგენს, რაც ძალიან ძვირია.**

გლეხების თქმით, მათ მიერ მოყვანილი მოსავალი იაფი ღირს და დახარჯული თანხების ანაზღაურებას ძლივს ახერხებენ. იმ შემთხვევაში თუ უსახსრობის გამო სარწყავი წყლის გადასახადი ვერ გადაიხადეს, დავალიანების არსებობის მიზეზით მათ სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას არ აძლევენ.

შეგახსენებთ, რომ კახეთში, მდინარე ალაზნის სარწყავი არხიდან წყლით სარგებლობაზე გადასახადი მას შემდეგ დაწესდა, რაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, არხის და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

**ინტერპრესნიუსი**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ბატონ ვახტანგ სურგულაძეს ბებიის**
**ანა შაშუტკინას**
**გარდაცვალების გამო.**

**ოჯახის უახლოესი მეგობრები: გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, სოსო ლაღიძე, პაპუნა ქღენტი, დათო გურგენიძე, სულხან ქასრაშვილი, ლევან ქურციკაშვილი, ომარ ცაავა, დემიკო ლოლაძე, ზურაბ მენაბდე, თამაზ გამცემლიძე, ბენო მუსერიძე ოჯახებით, გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ქალბატონი**
**ანა შაშუტკინა-ჩანადირისა**
**და სამძიმარს უცხადებენ მერი და დიზი სურგულაძეებს და მათ ოჯახს.**

**დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვახტანგ სურგულაძეს ბებიის ქალბატონ**
**ანა შაშუტკინას**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

**თბილისის აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი, ღვაწლმოსილი პედაგოგი**
**ნელი შალვას ასული ფერაძე**
**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**მიმდინარეობს შპს „გეორგიენ აუტო ტრანსპორტერ“ კოდი: 204494145; მის. თბილისი, ორბელიანის 24, შერწყმა შპს „ბელ-ბაუ“-სთან, კოდი: 205156748: მის: თბილისი, გამრეკელის 19, 23. ტ. 8 95 505 905.**

## რა არ ხდება

### ევროკავშირში მერკელს პატივს სცემენ



ევროპელებმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აღიარეს ყველაზე გავლენიან და პოპულარულ პოლიტიკოსად ევროკავშირში – ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოაწყო სოციოლოგიურმა ინსტიტუტმა Opinion Way გერმანიაში, ესპანეთში, ბრიტანეთსა და იტალიაში. გერმანელ ქალბატონს „ძალიან კარგად“ ეპყრობა გამოკითხულთა 65 პროცენტი – მათ გამოხატეს თავიანთი სიმპათიები სწორედ მისდამი.

### მთელი ოჯახით – ქალაქის მმართველობაში

**იტალიის ქალაქ სალუდეჩიოს მუნიციპალურ არჩევნებში საქალაქო მრჩევლის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს 101 წლის ქალბატონი მარია დონატე.**

მისმა ოჯახმა გადაწყვიტა მუნიციპალიტეტის მმართველობა საოჯახო საქმედ აქციოს.

დონატეს შვილიშვილი და ქალიშვილი იბრძვიან მერის სავარძლისთვის, ხოლო სიძე და შვილთაშვილი კომუნალური საბჭოს წევრობის კანდიდატები არიან.

### ფერნანდო ლუგო დააჯარიმეს



**საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის 100 დოლარით დააჯარიმეს პარაგვაის პრეზიდენტი ფერნანდო ლუგო.** რესპუბლიკის მეთაურმა, „ფორდის“ საჭესთან რომ იჯდა, აკრძალულ ადგილზე სხვა მანქანას გადაუსწრო. პოლიციელმა გააჩერა მოძრაობის წესების დამრღვევი და ჯარიმა გამოუწერა. ამავე დროს ვადაგასული აღმოჩნდა მისი მართვის უფლებაც. პრეზიდენტმა ღირსეულად ჩათვალა სასჯელი.

### შინაგან საქმეთა ორგანოებში – ნარკომანები



**როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რაშიდ ნურგალიევი აცხადებს, შვიდჯერ გაიზარდა შსს სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში იმ აბიტურიენტებისა და სტუდენტების რიცხვი, ვინც ვერ გაიარა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ტესტი.**

მინისტრის თქმით, შარშან გამოავლინეს ნარკოტიკების „მოყვარული“ 150 ახალგაზრდა, 2005 წელს კი ასეთი სულ 20 ყოფილა.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს მსგავს ორგანოებში“ (ჩვენ ხომ ყველაფერში „პირველობა“ გვიყვარს და, ალბათ, აქაც „გადავუჯოკრავთ“ რუსებსძ?!

### ჰოლმსი – 1 მილიონ დოლარად



**ყველაზე ცნობილი გამომძიებლის შესახებ კიდევ ერთი ფილმის გადაღებას აპირებენ რუსეთში. ის იქნება ისტორიაში ყველაზე მაღალბიუჯეტიანი.** ერთი სერია დაახლოებით 1 მილიონი დოლარი დაჯდება. ყველას აინტერესებს, თუ ვინ გაუწევს კონკურენციას ვასილი ლივანოვს, რომელიც თვით დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ ყველაზე საუკეთესო ჰოლმსად აღიარა დედამიწაზე. ეს ჯერჯერობით უცნობია. ამჟამად პროდიუსერები ატარებენ კასტინგს „ლონდონის როლზე“. პრეტენდენტთა შორის არიან ლონდონი, ტალინი, რიგა და ლვოვი.

### აბა, კარგი ჰაერი!

**ლიტველი მეწარმე ედუარდ გრომიკა ჰყიდის ვილნიუსის ჰაერს 7,25 ევროდ. ის ჰაერს „ასხამს“ ქილებში წარწერით „ათასწლეულის ჰაერი“.**

წლეულს ლიტვის დედაქალაქს 1000 წელი უსრულდება. ბიზნესმენმა სწორედ ამ თარიღისთვის გამოიტანა გასაყიდად თავისი სუვენირები.

ფასი მას გამართლებულად მიაჩნია: „ჩვენი ჰაერი უფრო სუფთაა, ვიდრე ევროპის სხვა ქალაქებში“, – აცხადებს ბიზნესმენი.

უცხოური პრესის მიხედვით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

## ჯანმრთელობა

### რძე წნევას აწესრიგებს



**აღმოჩენილია რძისა და რძის პროდუქტების ახალი სასარგებლო თვისება. თურმე ისინი დაბლა სწევენ წნევას და აქვეითებენ ჰიპერტონიის განვითარების რისკს.** რათა ეს დაემტკიცებინათ, სპეციალისტები ყოველ 6 წელიწადში იკლევდნენ 2 ათასზე მეტ ხანდაზმულ ადამიანს. მათ, ვინც რეგულარულად იყენებდა არცთუ ძალზე ცხიმიან რძესა და რძის პროდუქტებს, 7 პროცენტით იშვიათად აწუხებდა წნევა. რძის პროდუქტები მდიდარია კალციუმითა და კალიუმით, რომლებიც აწესრიგებენ წნევას სისხლძარღვებში. მსუქანი რძის პროდუქტებსაც შეუძლიათ, დადებითად იმოქმედონ ჯანმრთელობაზე.

### კლასიკური მუსიკის დახმარებით

**ბევრისთვის ცნობილია, რომ კლასიკური მუსიკის მოსმენა ამშვიდებს ადამიანს. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ განსაზღვრული ტემპის კლასიკური მუსიკის მოსმენას შეუძლია გულისცემის რიტმის შენელება და სისხლის წნევის დაწევა.** მომატებული ან დაწეული ტემპის კლასიკური მუსიკა სხვადასხვანაირად მოქმედებს ავადმყოფების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. მაგალითად, ინსულტგადატანილი ადამიანებისთვის გამოსადეგია პუჩინის საოპერო მუსიკა, სადაც მუსიკის ტემპი ჯერ აჩქარებულია, შემდეგ კი წყნარდება.

მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კლასიკური მუსიკის რეგულარული მოსმენა თერაპიის იაფი და ეფექტური მეთოდია, რომელიც ყველასთვის მისაწვდომია და არა აქვს მავნე ეფექტები.

### სტაფილო უფრო სასარგებლო რომ გახდეს



**ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვიცით სტაფილოს სასარგებლო თვისებები. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ამ ბოსტნეულის სასარგებლო თვისებები სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვამზადებთ მას.**

აღმოჩნდა, რომ ის მოხარშული უფრო სასარგებლოა, ვიდრე უმი. მოხარშვისთანავე ანტიოქსიდანტების დონე მასში 34 პროცენტით იზრდება.

ბრიტანელი სწავლულები აცხადებენ, რომ დაუჭრელად მომზადებული სტაფილო ინარჩუნებს მეტ სასარგებლო თვისებებს, ვიდრე დაჭრილი ან გახეხილი. ამას გარდა, მთლიანად მოხარშული სტაფილო შეიცავს უფრო მეტ ნატურალურ შაქარს, რაც მას უფრო გემრიელს ხდის. მკვლევარები აღნიშნავენ: ყველაფერი, რაც ჯანმრთელობასა და გემრიელ კვებას სჭირდება, დიდი ქვაბია.

უცხოური პრესის მიხედვით

### ვულოცავთ!

ჩვენს გონდო ჩვამანიას, ჩვენს ძმასა და პირის ზიარებას, ოქრო გულისა და ოქრო ხელების პატრონ „ჭგირ კოჩს“, დაბადების 65 წლისთავს ვულოცავთ და ყოველივე კარგს ვუსურვებთ მრავალჟამიერ!

ვილენ მარდალეიშვილი, მიხეილ მურვანიძე, ბონდო მიქიაშვილი, წოპე მესხიშვილი, ზაზა წულუკიძე, ირაკლი გოცირიძე, რამაზ თავბერიძე, ბეგლარ ნოზაძე, ოთარ იფხნელი, გოჩა თანდილაშვილი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– ახალგაზრდავ, თქვენთვის ბავშვობაში არ უსწავლებიათ, რომ ტრანსპორტში მოხუცებს ადგილი უნდა დაუთმოთ?

– ბებო, ეს ხომ ჩემი მანქანაა!

* * *

– წასული ვიყავი, ექვსი კვირა სახლში არ ვყოფილვარ! როგორც იქნა, დავბრუნდი. და რა? შენთვის სულ ერთია. ჩემთვის ერთი მოსაფერებელი თბილი სიტყვაც არა გაქვს სათქმელი ექვსკვირიანი განშორების შემდეგ! – საყვედურობს ვასკას ცოლი.

– რატომ არა მაქვს? – მაქვს...

– რა სიტყვა?

– გმადლობთ!!!

* * *

მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ არაყი ჩვენი მტერია.



ბიბლია გვასწავლის, გიყვარდეს მტერი შენიო.

ღმერთო, თურმე რა სწორად ვცხოვრობ – მეცნიერულადაც და ბიბლიურადაც.

* * *

ბიჭი გოგოსთან ერთად პარკში საღამო ხანს სეირნობს. კუთხეში სკამზე ჩამოსხდნენ და საუბრობენ. ბიჭს შარდი მოეძალა. გოგოს მოუბოდიშა, დასარეკი მაქვს, მალე მოვალო და მოშორებით ბუჩქს მიადგა. უცებ იქიდან მამაკაცის ღრიალი ისმის:

– მაინცდამაინც აქ მოგინდა მოშარდვა, შე დებილო შენა?

– უფრო კულტურულად და ხმადაბლა ვერ ილაპარაკებ? აქ გოგოსთან ერთად ვარ.

– აბა მეც ვისთან ერთად ვარ და რას ვაკეთებ, შენი აზრით, აქ, ჰერბარიუმს ვაგროვებ?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.